726 ა/8413

...მას მივუძღვნიდით,
რომ სიკვდილისგან
გვეხსნა სიცოცხლე,
მთელი მსოფლიო,
ეს ასე იყო,
შენ თავს ვიფიცავ,
სომ გახსოვს, სალხო,
ჩემო მშობელო!

ალექსანდრე
ტვარდოვსკი

ლენინური პრემიის ლაურეატი.

ჩვენი საუკუნე

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 9 (289) გამოცემის მე-16 წელი

1972 წლის 12 მაისი





1945 წლის 9 მაისი —
გამარჯვების აღლუმი წითელ მოედანზე

ეგოროვი, ქანთარია და სამსონოვი რაისხტაგზე აღმართავენ საბჭოთა ალამს

საუკუნო და სამაისო

მაისის სამი ბედნიერი დღე მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანის, შრომისა და სამართლიანობის პატივისმცემელ მაშვრალთა დღესასწაულია, მარადჟამიერი ზეიმია 1, 2 და 9 მაისი, კაცობრიობის ისტორიაში ოქროს ასოებით რომ არის ჩაწერილი საშვილიშვილოდ.

თუ 1 და 2 მაისის დღესასწაულს დასაბამად დაედო უსამართლოდ დარბეული ჩიკაგოელი მუშებისადმი მსოფლიოს შრომის ადამიანთა სოლიდარობა, 9 მაისი სათავეს იღებს ჩვენი პლანეტის ავადობის — ფაშიზმის შემუსვრიდან, კაცთმოძულებაზე სიკეთის გამარჯვებიდან, რასაც მეწინავედ ედგა უდიადესი ნებისყოფა საბჭოთა ხალხებისა, მსოფლიოს ყველა პროგრესული ძალები რომ გააერთიანა. ორივე მაისობა ბოროტზე სიკეთის გამარჯვების ზეიმია, ორივეს ერთი საწყისი აქვს, ორივეს ერთი, უძლეველობამდე აღზავებული სიბრძნეთა-სიბრძნე ამოძრავებს — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

თუ ჩიკაგოელ დამრბევთა შთამომავლად მსოფლიოს მოევლინა მეოცე საუკუნის ვანდალიზმი — ფაშიზმი, იმავე ჩიკაგოელ დამაშვრალთა მემკვიდრედ, პლანეტის მშრომელთა გამაერთიანებელ ძალად იქცა შრომისა და ბრძოლის ფოლადად ნაწრთობი საბჭოთა ხალხი, რომელიც მედროშედ წარუძღვა კაცობრიობის ტრიუმფალურ წინსვლას, ფაშიზმის შემმუსვრელ ბრძოლას. ეს არის მაისობის გაზაფხულისეული ორი ზეიმის ზოგადპროლეტარული, გამაერთიანებელი ჰიმნი და შემართება!

მსოფლიოს მშრომელთა სოლიდარობის, ხალხთა ძმობისა და ერთობის მაისისეულ ამ ზეიმებში ჩაგვირისტებულია კაცობრიობის ნათელი მომავლის, შრომის დიდებისა და მშვიდობის ტრიუმფის უდიადესი ეპოპეა. არ არსებობს ქვეყნად ძალა, რასაც ამ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან ტოლის დადება შეეძლოს, მასთან ყველას და ყოველის შერკინება პირველის გამარჯვებით და მეორის დაცემით დამთავრდება მარადჟამს — ჩაწერა კაცობრიობის ისტორიაში 1945 წლის 9 მაისმა!

შრომისა და სამართლიანობის ამ ზეიმების დამკვიდრებაში მსოფლიოს ხალხებთან ერთად წილი უდევს ქართველ ერსაც, რომელიც საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში დაუცხრომლად აშენებს თავისი შვილებისა და შვილიშვილების ნათელ მომავალს. ამ ძმობის, ერთობისა და სიყვარულის ნაყოფია სწორედ ისიც, რომ უთვალავი ომებითა და დარბევებით ნაწრთობ ქართველების მიწაზე მე-19 საუკუნის დასაბამიდან ომის ცეცხლი აღარ დატრიალებულა, ქართველთა კერები აღარ ატიალებულა, ქართველი დედა-შვილი აღარ აწიოკებულა შინ მომხვდური მტრისაგან და საქართველოს მიწა აღარ ყოფილა ათასგვარ მძარცველთა საპარპაშო თეატრად (თუ არას ვიტყვით სამიოდ უნიათო წელიწადზე, როცა ჩვენს მიწაზე უნდილ მმართველთა მოწვევით ევროპელი თუ აზიელი ბედისმაძიებელნი დაბორიალობდნენ).

მაისობათა ამ ზეიმების დაკანონებას, რუსებთან, უკრაინელებთან. ბელორუსებთან, მსოფლიოს ხალხთა შვილებთან ერთად ბევრმა ქართველმა მამულიშვილმა შესწირა სიცოცხლე. 1945 წლის 9 მაისს 600.000 მებრძოლიდან საქართველომაც ვერ დაითვალა ყოველი მესამე შვილი, რომელთა სამარადისოდ ნათელი ხსოვნა უწმინდესი თავმდებია ქართველი ერის ნათელი მომავლისა.

მე ქართველი ბუხაიძე
ბალყარეთის მთებში ვწევარ...

რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა,
მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს.
. . . . . .
და ვუბარებ ყველა ქართველს:
მისი წმინდა ვალი არი —
მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეჰკრას
დერბენტი და დარიალი.

ირაკლი აბაშიძის ეს ლექსი გულისთქმაა ყველა ქართველი ვაჟკაცისა, ვინც გაიგო და იწამა, რომ მამულიშვილი სამშობლოს უნდა ემსახუროს ყველგან და ყოველთვის, რომ ჩვენი ერის ბედნიერება იბადება და იწრთობა საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში, პლანეტის ხალხთა ძმობასა და ერთიანობაში, რომ მეორე მსოფლიო ომის იმ მძიმე დღეებში მოსკოვის თუ სტალინგრადის დაცვა თბილისისა და ქუთაისის დაცვასაც ნიშნავდა. ამაშია ცხოველმყოფელი ძალა საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური შემართებისა და მგზნებარებისა, ეს არის საწინდარი ქვეყნად სიკეთის გამარჯვებისა და ბოროტების დამარცხებისა, მშვიდობის განმტკიცებისა, ეს არის ქართველი ერის ბედნიერების ჭეშმარიტი სათავე!

დაე, ყველამ იცოდეს ქვეყნად, საფრანგეთში იქნება ის თუ არგენტინაში, ბოსნა თუ პარიზში, რომ საბჭოთა ხალხთა გამარჯვების ზეიმის პირველი ალამი რაისხტაგზე ეგოროვთან და სამსონოვთან ერთად ქართველმა ქანთარიამაც აღმართა, რომ დამარცხებული ჰიტლერელი ფაშისტების დაფხავებული დროშები წითელ მოედანზე ქართველ კაცსაც დაუყარეს ფერხთით საბჭოთა ხალხის სწორუპოვარმა გოლიათებმა — რუსებმა, უკრაინელებმა, ბელორუსებმა, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა და ქართველებმაც, რომ გამარჯვებულთა ალმის იმ შემართვით და დამარცხებულთა დაჩაგვებული დროშების ლენინის მავზოლეუმის წინ მოსკოვურ მიწაზე დაყრით წერტილი დაესვა დედების ტირილს, ქვრივების მოთქმას, ბავშვების დაობლებას და დაიწყო ახალი, ძლევამოსილი ერა მშვიდობისა, შენებისა და გამარჯვებათა ზეიმებისა.

დაე, ახსოვდეს ყველას საბჭოთა ხალხების ძლევამოსილება, ნურვინ დაივიწყებს ფოლადის სიმტკიცეს, რამაც ძირს დასცა ნაციზმი, კაცთმოძულება და სიმხდალე. იცოდეს ყველამ, რომ ერთადერთი გზა სამშობლოს სამსახურისა, შენი ერის სიყვარულისა ქვეყნად დაკანონებულ 1, 2 და 9 მაისის ზეიმებზე გადის, რომ ხალხთა ერთიანობისა და ძმობას გარეშე არ არსებობს მშვიდობა, შრომა და ბედნიერება!

მარადიული დიდება ბრძოლაში დაცემულ რაინდებს, დიდება დიდებს, ნეტარი შარავანდედი მათ ჭაღარას, ვინც სამართლიან ბრძოლაში შვილები დაჰკარგა, ბედნიერება დაობლებულ გმირების სისხლ-ხორცით, მონაგარს. დიდება მშვიდობას, ახალ თაობას ომი და სიკვდილი რომ დაავიწყა, ჭართველ პოეტს ჯანსულ ჩარკვიანს მამათა სისხლით მორწყულ მაისებზე რომ ათქმევინა:

სიყვარულმა გაგითენოთ,
ფიალა მზით ამოვსეთ...
გაუმარჯოს საქართველოს
ულამაზეს მაისებს!

ჭეშმარიტად გაუმარჯოს საბჭოეთის, მთელ მსოფლიოს მაისებს!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში

3-4 მაისს თბილისში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.

პირადი თხოვნით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობისაგან განთავისუფლებულია აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის წინადადებით, რომელსაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საერთო კრების მონაწილეებმა, აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი აირჩიეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად საერთო კრებამ აირჩია თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი, აკადემიკოსი ილია ვეკუა. ვიცე-პრეზიდენტებად არჩეული არიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ირაკლი აბაშიძე, სერგო დურმიშიძე და ევგენი ხარაძე.

პრესის დღეს მიეძღვნა

6 მაისი საბჭოთა პრესის დღეა — სახალხო ბეჭდვითი სიტყვის დღესასწაული. გაზაფხულის ამ თვეს დაიბადა გაზეთი „პრავდა“, საბჭოთა პრესის მედროშე, რომლის საპატიო ჯილდოებს ამ დღეებში კიდევ ერთი მიემატა: ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მიერ დაარსებული გაზეთ „პრავდის“ 60 წლისთავთან დაკავშირებით და მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესრულებისათვის საბჭოთა ხალხის დარაზმვაში მისი დიდი დამსახურების აღსანიშნავად გაზეთი „პრავდა“ დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

ამ დღესასწაულს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც 6 მაისს რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გამართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში იყვნენ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხეილ გოგიჩაიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორია სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე დამიანე გოგოხია, ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, რესპუბლიკის გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები.

სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა იპოკრატე შევარდნაძემ.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა დავით მამედლიშვილმა გულთბილად მიულოცა პრესის მუშაკებს პრესის დღე, ღირსშესანიშნავი თარიღი — ლენინური გაზეთის „პრავდის“ 60 წლისთავი, რესპუბლიკის ჟურნალისტებს უსურვა ახალი შემოქმედებითი წარმატებანი. დავით მჭედლიშვილმა ილაპარაკა გაზეთ „პრავდის“ მიერ განვლილ სახელოვან გზაზე, პრესის მუშაკთა ამოცანებზე სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ ჟურნალისტები, მწერლები, სახელოვანი მშრომელი ადამიანები.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა მისახალმებელი წერილი გაუგზავნეს „პრავდის“ კოლექტივს გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების გამო.

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანი იაპონურ ენაზე

იაპონია ქართულ მხატვრულ სიტყვას პირველად 1955 წელს გაეცნო, როცა „ვეფხისტყაოსანი“ იაპონურ ენაზე ითარგმნა. ამ დღიდან დაწყებული იაპონელი მკითხველი დიდი ინტერესით დაეწაფა ყოველგვარ ცნობებს საქართველოს შესახებ და განსვენებული იპეი ფუკუროც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე აკეთებდა ყველაფერს, რათა იაპონიისათვის მისთვის საყვარელი საქართველო გაეცნო.

ის არ დასჯერდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს, რაც მრავალჯერ გამოიცა ასიათასიანი ტირაჟით და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, მან თარგმნა ქართული ზღაპრები და ლეგენდები, ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, გამოსცა დიდებული წიგნი „საქართველო მოგზაურის თვალით“ (იაპონელი ალპინისტების ჩანაწერები, 1967 წელი) და რაც მთავარია, უამრავი წერილი საქართველოს ლიტერატურაზე, ისტორიასა და დღევანდელ ცხოვრებაზე. მისი სტუდენტების მიხედვით (ფოტო-სურათების მეშვეობით) იაპონიის ტელევიზიამ ორჯერ მოაწყო გადაცემა საქართველოზე და სხვა.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი იაპონური გამოცემა პროზაული იყო. მთარგმნელს შალვა ნუცუბიძისეული თარგმანის გარდა, საქართველოს შესახებ სხვა არაფერი ჰქონდა ხელთ. თარგმნას კი ხელი იმიტომ მოჰკიდა, რომ მოეწონა რუსთველის იდეები, ქართული ჰუმანიზმი და რაინდობა. იპეი ფუკურო, ბუნებრივია, დაინტერესებული იყო საქართველოთი და მისი ასლოს გაცნობის სურვილს მოკრძალებული ბუნების გამო გულში ინახავდა. თავის წერილებშიც კი არასოდეს გამოუმჟღავნებია. საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მოწვევით 1964 წელს ის ასლოს გაეცნო საქართველოს და მოხიბლა მისი ბუნებით, ისტორიული ძეგლებითა და რაც მთავარია, ქართველი კაცის სტუმარ-მასპინძლობით.

წლის მარტის თვეში იაპონელმა მკითხველმა იხილა პოლიგრაფიული კულტურის დიდებული ნიმუში — „ვეფხისტყაოსანი“, რომლის რამდენიმე ეგზემპლარი კომიამამ გაამოუგზავნა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი პოლიგრაფიული გამოცემა „ვეფხისტყაოსანს“ არ ახსოვს — ეს არის წიგნის გამოცემის კულტურის ბრწყინვალე ნიმუში.

წიგნი შეიცავს 254 გვერდს, ჩასმულია მუყაოს ყდაში, რომელსაც ქართულად, იაპონურად და ინგლისურად აწერია „ვეფხისტყაოსანი“ და გამოსახულია შოთა რუსთაველის ბარელიეფი. წიგნს აქვს დასურათებული სუპერი. საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები. პროზაული გამოცემა იაპონელი მხატვრის მიერ იყო დასურათებული. აქ კი გამომცემელმა შეარჩია სხვა და სხვა მხატვრების ილუსტრაციები და გემოვნებით განალაგა ტექსტში. აქ ნახავთ თოიძის, ქობულაძის, იანქოშვილის, ცუცქირიძისა და ზიჩის ნახატებს.

წიგნს დიდი შესავალი წერილი აქვს დართული, სადაც ლაპარაკია მე-12 საუკუნის საქართველოზე, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორზე და საერთოდ, საქართველოს ისტორიაზე, კულტურაზე, ლიტერატურაზე და სხვა. საინტერესოა, რომ ისტორიული წარსულის გარდა, შესავალში ახალი საქართველოს ცხოვრებაზეც არის საუბარი. მრავლად არის წარმოდგენილი საქართველოს ხედების, ქართველ კოლმეურნეთა და ინტელიგენტთა ფოტო-სურათები. წიგნის ბოლოსიტყვაობაში ლაპარაკია იპეი ფუკუროზე და რუსთაველის იუბილეზე საქართველოში.

რაც შეეხება პოეტური თარგმანის რაობას, მის შესახებ ჯერ ვერაფერს ვიტყვით, რადგან არ ვიცით იაპონელი კრიტიკოსების აზრი. ფაქტია, რომ სადაც პროზაულმა თარგმანმა ესოდენ დიდი პოპულარობა მოიპოვა, პოეტური თარგმანი, იმედია, მეტად დაფასდება. ის დიდი საქმე, რაც განსვენებულმა იპეი ფუკურომ გააკეთა შორეულ იაპონიაში ქართული სიტყვის პოპულარიზაციისათვის, დაუვიწყარი იქნება.

ნოდარ კოჭლაშვილი



სურათზე: „ვეფხისტყაოსნის“ იაპონური გამოცემა.

პოეტი შალვა ამისულაშვილი სამამულო ომის მონაწილეა. მან, როგორც რიგითმა ჯარისკაცმა, ბრძოლით გაიარა რუსეთი, უკრაინა, ბესარაბია, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი და ავსტრია.

ორი ლაბელისკი

კიდევ შევხვდით, რა სჯობს სიყრმის გახსენებას,
მაგრამ ფიქრი, ძმაზე ფიქრი არ მასვენებს,
მუ დავბრუნდი, დიდ-პატარა თავს მეულება,
ის კი, ძმაო, უცხო ქვეყნის საფლავში წევს.

მახსოვს, როცა სამშობლოში ვბრუნდებოდი,
გზად შევჩერდი, აღარ ეცხოთ ლოდებს სისხლი;
ბუდაპეშტში, მშობლიური მზრუნველობით
აღემართათ მარმარილოს ობელისკი.

ზედ ეწერა ოქროსფერი ასოებით:
„აქ უმუხთლა ბედმა მშვენივრად ჯარისკაცებს“;
სადარაჯოდ შემორტყმოდნენ გარს ლომები
და ხეივნებს გაჰყურებდნენ ჯანღით სავსეს.

საბელგანთქმულ ციმბირელთა გვარებშორის
გულმართალი ქართველის გვარიც ანათებდა;
ძმა ვიპოვნე ვალმოხდილთა სამფეროში,
თვით სიკვდილშიც ამაყობდა ვერაგ მტერთან...

ნათქვამია: — კარგი მოყმე ლაშქარს კვდება,—
და ისიც ხომ ლაშქრობაში დაიღუპა;
სადღეგრძელო გამაგონეთ ვაჟკაცებმა,
ურუანტელმა დაგვიაროს რაინდულმა...

ეხლა აქ ვარ, უნდა უძმოდ გადავტეხო
თეთრი შოთა — დედის ხელით გამომცხვარი;
უნდა უძმოდ შევუმღერო მაღალ ჭადარს,
ვადღეგრძელო ციგვიმშორი საოცარი.

როცა ჯარში, წითელ ჯარში გაგვისტუნრეს,
რა პატარა, კაფანდარა იყო მაშინ;
ძმამ სახელი ამოჰკვეთა დანით გულზე,
თუ მოვკვდეო, მომიგონოს დიდობაშიც...

ეხლა აქ ვარ, ვხედავ ჭადარს — ძმის სახელი
სიყვარულით ცამდე აუმაღლებია:
მზეში დგანან ჭერმაღალი ქვის სახლები
და მწვანე ზღვა წამოსულა ბაღებიდან...

დაილოცოს საქართველოს ცა და მიწა,
მისი მტერი თრთოდეს ჩვენი ერის რისხვით,
თუ ძმას ბედმა აქ დამარხვა არ აღირსა,
ეს ჭადარი იყოს მისი ობელისკი!..

ბუდაპეშტის დილა

დადუმებულ პალატაში ფრთხილად
შემოვდა ბუდაპეშტის დილა.
მხრები ოდნავ წამოვწიე ძალით
და კედელზე სურათს მოვკარ თვალი:
გაგიუებულ ხარისათვის ზურგზე
დაეთოკათ თმაგაშლილი ქალი.

ხარს ნაპრალთან დაჰხვედროდა ვაჟი
და შვილდივით მოეხარა მუხლში;
თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა ბრაზით
რქებალმასა, ქედმაღალი, ურჩი, —
და ჭაბუკი გმირულ გამარჯვებას
შეუმჩნევლად ზეიმობდა გულში...


ჩემს მახლობლად მადიარი იწვა,
მკერდს ნათელი დაჰფენოდა მზისა.
ისიც ჩემებრ მოეხიბლა სურათს,
წამოდგა და
მომესალმა ძმურად...
ჯერ ფიქრებში ჩაიძირა დიდხანს
და ჯარისკაცს ბოლოს დინჯად მითხრა:

„დღეს ევროპა, მომავალს რომ უმზერს,
იმ ქალივით თრთოდა ხარის ზურგზე...
და თუ ეხლა იღიმება ლხენით,
მადლობელი უნდა იყოს თქვენი.
ო, ფაშიზმის შლეგიან ხარს ძირში
თქვენ დასტეხეთ სისხლიანი რქები!..“

...ჩამომდგარა გაზაფხულის ღამე,
ჩემს მამულში ყველა სარკმელს აღებს,
შუშხუნების შუქი მოკამკამე
უერთდება ვარსკვლავეთის თაღებს,
მერე ისევ ფერად შადრევნებად
თავს ეფრქვევა ხეივნებს და ბაღებს.

ჭვემეხები, სპილოებს რომ ჰგვანან,
განა
ქვეყნის დასანგრევლად დგანან...
დღეს ლულები ხორთუმების მსგავსად
მათ იმიტომ აუწვდიათ ზემოთ,
რომ გუგუნმა, მწუხარების ნაცვლად,
სიხარული გვაგრძნობინოს, ძმებო!..

...ნუთუ არ
გენატრება
ის ადგილი,
ის მხარე,
სადაც
ფესი აიდგი,
სადაც
გულით იხარე!..



...ნუთუ ცელქი ლიასვი — ზვით, სოფლის დასასრულს —
მტკვარს რომ გულში ეკვრება, მისი ნახვა არა გსურს?..

იოსებ გრიშაშვილი

ოქროს საბლით მოზოვილი

ხელისგულივით მოჩანს აქედან საუკუნეებით მხრებდამძიმებული ქალაქი. ჩურჩულებენ ქოხორა და დაკოჭრილი გვირვები... ჩურჩულებენ შეუსვენებლივ... ლიახვიდან მონაბერი ნიავი ახალისებს ქალაქს, ასიცოცხლებს ჰაერს...

ესე იყო ადრე, ესეა დღესაც.

„... არს ადგილი ჰავითა მშვენიერი, წყალი კარგი, გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი. ზაფხულ კეთილი, ზამთარს ცივი, ქარიანი; სანადირო მოუკლებელი ფრინველითა, თევზითა და სხვითაცა. ლხინი და საზრდელნი მრავალნი, გემოიანნი მსახვობელნი არიან ქართველნი და სომეხნი. ჰაეროვანნი, ტანოვანნი, მშვენიერნი, ამაყნი და დიდის მთქმელნი“, — წერდა ვახუშტი ბაგრატიონი.

...ციხის ძირს მერცხლის ბუდესავით ეკვროდა ვიწროქუჩებიანი, სვედამწვარი ქალაქი. განთქმული იყვნენ გორელი ხელოსნები, ვაჭრები, იარაღისმკეთებელნი, დაბაღები, ამქრებიც, იკეცებოდა ფარჩა-აბრეშუმიც. მაგრამ მაინც წელებზე ფეხს იდგამდა გორელი გლეხი თუ ხელოსანი, ლიახვს და მტკვარს უხვად მოჰქონდა ლოქო და კალმახი, ომშივარი ასდიოდა დედას პურებს. ...მაინც სიმშილი და სიღარიბე იდგა ქალაქში, უწიგნურობის თალხი ეფინა ქოხებს... წყალდიდობა, მიწისძვრა რისხვად ატყდებოდა ქალაქს.

ოღონდ, ეს კია — ნამუსის ქუდი გორს არასოდეს მოუხდია. ბრძოლა იყო, იბრძოდა, შრომა იყო — შრომობდა: გორმა გაუგზავნა სამძიმრის ბარათი იტალიას ეროვნული გმირის გარიბალდის გარდაცვალების გამო, გორმა აღადგინა პროფესიული ქართული თეატრი. არც საერთო-სახალხო მოძრაობას ჩამორჩენია გორი. პირიქით, მარტოოდენ რიგით ჯარისკაცებს კი არა, მოთავეებს უზრდიდა მამულს.

გორი ხელოსნური ქალაქიდან განვითარებული მრეწველობის კერად გადაიქცა. გაჩაღდა დიდი სოციალისტური მშენებლობა. იმ ადგილზე, სადაც ადიდებული ლიახვი თავის სამფლობელოს შემოხაზავდა ხოლმე, გორელების გამრჯე მარჯვენამ ბამბეულის გიგანტური კომბინატი ააგო. მისი 5.300-სიანი კოლექტივი ყოველწლიურად 65 მილიონამდე მეტრ ქსოვილს უშვებს.

საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იცნობენ გორის საკონსერვო კომბინატის ნაწარმს. მოსწონთ. არც გასაკვირია, გორის რაიონის კალთაბარაქიანი ბაღ-ბოსტნები სომ უმაღლესი ხარისხის ნაყოფს იძლევიან; მარტო გორული ატამი რად ღირს!

გორელთა დოვლათს ამდიდრებს მექანიკური, საავეჯო, შპალსაჟღენთი ქარხნები. ზოგი მათგანის პროდუქცია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მიდის.

მოსახლეობის სიკეთეზე ზრუნავენ პურკომბინატი, ხორცკომბინატი, საწარმოო მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები, ლუდისა და ხილეული წყლების, ყველ-კარაქის ქარხნები, გაზიფიკაციის სამმართველო...

მშობლიური ქალაქისა კი არა, მთელი ქვეყნის სიამაყენი არიან გორელი საბჭოთა კავშირის გმირები ვლადიმერ ნანეიშვილი, სოგრატ გალუსტაშვილი, ნიკოლოზ იუფეროვი, ბაგრატ ზუმბულიძე, შრომის გმირები, ბამბეულის კომბინატის ფეიქრები ელენე გეგელაშვილი და ნანული ჩერქეზიშვილი, გორის რაიკომის პირველი მდივანი რევაზ ბზიშვილი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვახტანგ გოგშელიძე, მესიღე ეკატერინე თვალიაშვილი.

დღევანდელი გორის მოსახლეობა რევოლუციამდელზე 5-ჯერ მეტია. დღეს გორში 50 000-მდე კაცი ცხოვრობს. ეს მრეწველობის არნახული განვითარებისა და წარმოების ზრდის ტემპების მადლია.

ცამეტ საშუალო სკოლაში, სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, სამედიცინო და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში და სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალში გორელი ახალგაზრდობა ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს.

ნაყოფიერად მუშაობს საკავშირო მნიშვნელობის მრეწველობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ქალაქის კულტურის კერებია გიორგი ერისთავის სახელობის დრამატული თეატრი, მუსიკალური სკოლა და სასწავლებელი, სამხატვრო სკოლა, კინოთეატრები „ივერია“ და „კომკავშირელი“, სტალინის სახლ-მუზეუმი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და საბრძოლო დიდების მუზეუმები; კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და მშრომელთა სახალხო უნივერსიტეტები, სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი; გორს ამშვენებს ლენინის, სტალინის, გიორგი ერისთავის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, იაკობ გოგებაშვილის ძეგლები და რუსთაველის მემორიალური ანსამბლი.

გორისა და გორელების ცხოვრების უტყუარი მატიანეა ადგილობრივი გაზეთი „გამარჯვება“ და ლიტერატურული საზოგადოების (ხელმძღვანელი მწერალი ოთარ ჩხეიძე) ალმანახი „ლიახვი“.

რევოლუციამდე გორში მხოლოდ ერთი ექიმი და მედიცინის სამი და იყო. დღეს მედდებისა და ექიმების სიმრავლეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, გორს ოთხი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ემსახურება: ჭირურგი გიორგი გელდიაშვილი, ფთიზიატრი ნიკოლოზ გვასალია, თერაპევტები ავთანდილ კეჩხუაშვილი და ავთანდილ სამადალაშვილი.

ქალაქში არის სისხლის გადასხმის სადგური, რაიონის და ქალაქის საავადმყოფოები. ქალაქის საავადმყოფოს შეუძლია ერთდროულად 400-მდე ავადმყოფის მოვლა-პატრონობა. საავადმყოფოს აქვს თერაპიული, ნევრული, ფიზიოლოგიური, გინეკოლოგიური, სამშობიარო, უროლოგიური, ქირურგიული განყოფილებები, რენტგენო-კაბინეტი, კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორია.


მოსახლეობის ჯანმრთელობის საქმეს ემსახურებიან რაიონული და საქალაქო პოლიკლინიკები, ბავშვთა საავადმყოფო, ბამბეულის კომბინატის სამედიცინო-სანიტარული ნაწილი, სტომატოლოგიური პოლიკლინიკა და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ორი სადგური.

სოკობივით მრავლდებიან ქალაქში მრავალსართულიანი სახლები. ლარივით გაჭიმული ფართო ქუჩებით დასერილ ქალაქს დუდუნით დასთამაშებენ მტკვარი და ლიახვი; დასთამაშებენ და შეჰხარიან მრავლისმომსწრენი მის ახლო მომავალს:


სულ მალე მწყობრში ჩადგება ჰიგიენის სახლი, სამხატვრო სკოლის ახალი კორპუსი, დამთავრდება ქალაქის სრული გაზიფიცირება. აიგება ბავშვთა სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, ავტოსადგური, საბაგირო გზა კულტურისა და დასვენების პარკიდან მთა გორისამდე, კეთილმოწყობა ქუჩები, მოედნები, სკვერები; ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის და საბავშვო ბიბლიოთეკის ახალი შენობები, მე-14 და მე-15 საშუალო სკოლები, პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ახალი კორპუსები, ქორწინების სახლი, ახალი კინო-თეატრი, ღია თეატრი გორის ციხის ფერდობზე, აშენდება სპორტული კომპლექსი... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

გაივლის წლები, საუკუნეები, „ოქროს საბლით მოზომილი“ გორის ძირი კი კვლავ ამაყად იდგება ქართლის გულში ალაო, მამაცი და ფუტკარივით გამრჯე ადამიანების მტკიცე ნების დასტურად.

ნუგზარ ონიაშვილი,
გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.



გორი



გორის ჭუჩებზე

აყვავდი, ტურფა

მაღლიან მიწაზე

გორის რაიონზე გესაუბრებით: აქაური მიწა ლიახვისა და მტკვრის მაცოცხლებელი წყლით იკვებება. ვერცხლის ქამარივით ბრწყინავს ტირიფონის არხი. ირწყვება ათასობით ჰექტარი მიწა, ის მამული, რომელსაც ადრე სახნისი არ შეხებია. აღარც ვარიანია ქარიანი, დღეს მეხილეობით ამაყობს სოფელი, არც ტყვიავი ყოფილა ღვთისაგან დაწყევლილი, სიხარული მეფობს შიდა ქართლის სოფლებში.

გორის რაიონის მამულების ყოველ მტკაველ მიწას სიუხვე დაეკვება და ყოველ შემოდგომას ადრინდელზე უფრო მეტ მოსავალს იღებენ აქაური გამრჯე ადამიანები. რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა შარშან სამშობლოს 27795 ტონა თესლოვანი და კურკოვანი ხილი მიჰყიდეს. მაშვრალნი ხვალისათვის უფრო ბევრს ფიქრობენ. მეცხრე ხუთწლედში კიდევ 2.000 ჰექტარზე გააშენებენ ბაღებს. მაშინ ბაღების საერთო ფართობი 17800 ჰექტარს მიაღწევს და ხუთწლედის ბოლო წელიწადს გორელები სამშობლოს 45000 ტონა ხილს მისცემენ.

გორის რაიონი ამაყობს მეჭარხლეებით, მებოსტნეებით, მევენახეებით, მეცხოველეებით.

დიახ, გორის რაიონი მევენახეობითაც გახდა ცნობილი. ადამიანებმა შეისწავლეს მიკროკლიმატური პირობები, მევენახეობის პერსპექტივები და ახრისში 455 ჰექტარზე გაშენდა ვენახი, საიდანაც საიუბილეო წელს 1505 ტონა უურძენი მიიღეს.

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა ააგეს მებოსტნეობის საკოლმეურნეობათაშორისო სასათბურე კომბინატი, წელიწადის რომელ დროსაც უნდა მიხვიდეთ სასათბურე კომბინატში, მუდამ ბარაქიანი შემოდგომა დაგხვდებათ.

აქაურ მშრომელებს არც მეფრინველეობა და მეცხოველეობა დაუტოვებიათ უყურადღებოდ.

42 მილიონ კვერცხსა და 800 ტონა ხორცს მისცემს ჭვეყანას ყოველწლიურად ახლად აშენებული მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკა.

შეუძლებელი იყო კოლმეურნეობებში პირუტყვის სულადობის შემდგომი ზრდაც, რადგან მრავალწლიანი ნარგავების გაშენება ამის საშუალებას არ იძლეოდა. და როცა საჭირო გახდა გაუმჯობესებულიყო პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა გარემო პირობებთან შეგუებული საქონლით, ტინისხიდში აშენდა პირუტყვის სადგომი, საკვების შესამზადებელი საამქრო და სხვა ნაგებობანი. მშენებლობაში ყველა კოლმეურნეობა მონაწილეობდა. მშენდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საჯიშე მეურნეობა, რომელმაც მალე გაითქვა სახელი.

1965 წელს შეიქმნა მეღორეობის ფერმაც.

ამდენი საშვილიშვილო საქმის შეთქმედია შვიდი საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაცია, საიდანაც რაიონის მშრომელებმა 1,051 149 მანეთი მოგება ნახეს.

ეს მხოლოდ დასაწყისია. მეცხრე ხუთწლედის ბოლოს უფრო მეტი სასახელო მაჩვენებელი ექნებათ გორის რაიონის 136 სოფლის მშრომელებს.


ამჟამად გორის რაიონში არის 4 კულტურის სახლი, 32 სასოფლო კლუბი, ათეულობით სამკითხველო, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, მუსიკალური სკოლა...

გორის რაიონი ამაყობს სახელოვანი წინაპრებით, ადამიანებით, რომლებმაც დასაბამი მისცეს ეროვნულ კულტურას. მშრომელები სათუთად უვლიან იოსებ ხტალინის, ლადო კეცხოველის, ბაკო გოგებაშვილის, ნიკო ლომოურის, ეკატერინე გაბაშვილის სახლ-მუზეუმებს.

ხარობს ქართლის შუაგული...

ზაურ წაქაძე,

გორის რაიონული და საქალაქო გაზეთ „გამარჯვების“ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე



ქალაქი გორი დღეს 1064 ჰექტარზე გადაჭიმულა. რაიონი კი 1 286 კვ. კმ-ს მოიცავს. 1921 წელს გორში 9300 სული ცხოვრობდა, სოფლად — 50 000. დღეს გორში 50.000-მდე მცხოვრებია, რაიონის მოსახლეობამ 82 000-ს მიაღწია.

1921 წლამდე რაიონში რამდენიმე საეკლესიო სკოლა იყო, ქალაქად — 1 ვაჟთა გიმნაზია, 1 ქალთა პროგიმნაზია, 1 სასულიერო სასწავლებელი, 1 სამოქალაქო სკოლა... დღეს რაიონის 18 ათასამდე ბავშვს 100 სკოლაში 1 450 მასწავლებელი ზრდის, ქალაქის 13 სკოლაში 10 000-მდე მოზარდი 520 მასწავლებლის მზრუნველობით არის გარემოცული. 1970 წლის აღწერით ქალაქად ითვლება 3 732, ხოლო სოფლად — 1 501 უმაღლესდამთავრებული.

რა იყო გორი ხუთი ათეული წლის წინათ და რა არის დღეს

გორში 1935 წლიდან არსებობს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. იგი დაამთავრა 7571 კაცმა. ამჟამად ინსტიტუტში 2250 სტუდენტი სწავლობს. ინსტიტუტს აქვს 13 კათედრა, 4 ფაკულტეტი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი გორში 1961 წლიდან არსებობს. აქ 450 სტუდენტმა მიიღო უმაღლესი განათლება. ამჟამად 367 ახალგაზრდა ეუფლება საინჟინრო მეცნიერებას.

გორში 1956 წლიდან არსებობს აგრეთვე საკავშირო მნიშვნელობის მრეწველობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

თუ 1921 წელს სოფელს ექიმი საერთოდ არ გააჩნდა, ქალაქად კი მხოლოდ რამდენიმე კერძო ექიმი მუშაობდა, დღეს სოფლად 147 ექიმი და 373 საშუალო სამედიცინო პერსონალია, ქალაქად — 164 ექიმი და 536 საშუალო სამედიცინო პერსონალი ეწევა კეთილშობილურ შრომას.

1921 წლამდე არც გორში და არც მაზრაში არც ერთი კილომეტრი ასფალტირებული გზა არ ყოფილა, დღეს რაიონში ასფალტირებულია 105 კილომეტრი გზა, მოხრეშილია 173 კმ., ქალაქში მოასფალტირებულია 54 კმ.

სინამდვილედ ქცეული ზღაპარი

რიგი ჰყავის, რიგი მწიფს, რიგი იკრიფება... ზღაპარს როდი გიამბობთ, ეს სინამდვილეა, დიახ, სინამდვილე! გორის საკოლმეურნეობათაშორისო სასათბურე მეურნეობაზე მოგახსენებთ:

30.000 კვადრატული მეტრი მიწა მოექცა მინის საფარქვეშ ორი წლის წინათ. მოექცა და წელიწადის დროებს ანგარიში აერიათ. აბა, რა იქნებოდა? დეკემბერში, იანვარში, თებერვალში... ჰყვავის, მწიფს, იკრიფება შუშა კიტრი და ლოყებდაბრაწული პამიდორი. იკრიფება გორელი კაცის, თბილისელი ამაგდარის, ქართველი მაშვრალის სუფრის დასამშვენებლად.

ახალი ბოსტნეულით ქალაქის მომარაგებაში სეზონურობის აღმოფხვრა აუცილებლად ცნო გამჭრიახმა გონებამ. „ცალკეული კოლმეურნეობებისათვის ძნელია სამრეწველო მნიშვნელობის დახურულგრუნტიანი „ბოსტნის“ აშენება. ეს შეუძლიათ კოლმეურნეობებს გაერთიანებული ძალებით...“ — იფიქრა გორის თავკაცმა რევაზ ბზიშვილმა და თადარიგიანი მეურნე კაცის სიტყვა ხალხმა მყისვე საქმედ აქცია. ჯარასავით დატრიალდნენ ატენის, ხიდისთავის, ბნავისის, ქვახვრელისა და სხვა სოფლების მშრომელები და სამი ჰექტარი მიწა გამოსტაცეს ნაჭარმაგევის აბეზარ ქარ-ყინვას...


...შარშან 420 ტონა კიტრი და პამიდორი მიაწოდა სასათბურე მეურნეობამ გორისა და დედაქალაქის მშრომელებს. წლეულს უკვე დაიკრიფა 40 ტონა შუშა კიტრი. ამჟამად კი პამიდორი იკრიფება სათბურებში, სადაც გორელებს აგვისტო მოუმწყვდევიათ.



შარშან დეკემბერში მეჯვრისხევსა და კოდაში ვადაზე ადრე დასრულდა მეფრინველეობის ფაბრიკა-გიგანტების მშენებლობა.

ამის შესახებ მკითხველებს ვაუწყეთ ჩვენი გაზეთის 28 იანვრის ნომერში — „ხალხის სიმდიდრე“. მას შემდეგ მხოლოდ ოთხი თვე გავიდა.

გიგანტის პირველი ნაბიჯები



1970 წლის 5 იანვარი. პირველად ამ დღეს დაჰკრეს ბარი მშენებლებმა მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკის საძირკველს. მშენებლების გარდა ყოველდღიურად რაიონის 300-400 მშრომელი იღვწოდა მშენებლობაზე. ფაბრიკა 1974 წლისათვის უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ რაიონის თავკაცებმა მშენებლობა საყოველთაო-სახალხო საქმედ გამოაცხადეს და 1971 წლის 23 დეკემბერს მეფრინველეობის ფაბრიკა-გიგანტი, მეცხრე ხუთწლედის ერთ-ერთი პირმშო, მწყობრში ჩადგა.

იმ დღიდან მხოლოდ ოთხი თვე გავიდა. მას შემდეგ ცოცხლობს ქართლის გულში ფაბრიკა-გიგანტი, რომელმაც სრული სიძლიერით ამოქმედების შემდეგ ყოველწლიურად 42 მილიონი კვერცხი და 800 ტონა ქათმის ხორცი უნდა მიაწოდოს საქართველოს. უკვე წლეულს ფაბრიკა მოგვცემს 4 მილიონ 800 ათას კვერცხს და 268 ტონა ხორცს.

60 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს ფაბრიკას. მის კომპლექსში შედის 120-ზე მეტი სხვადასხვა შენობა-ნაგებობა. მშენებლობა 10 მილიონი მანეთი დაჯდა. საამქროებში დამონტაჟებულია 400 ათასი მანეთის მოწყობილობა. ეს და კიდევ სხვა ციფრები ნათლად ლაპარაკობენ იმ დიდ მასშტაბებზე, რომლებიც მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკას აქვს.

— კვერცხების პირველი პარტია ფაბრიკის გახსნამდე ერთი კვირით ადრე, 17 დეკემბერს ჩავაწყეთ ინკუბატორში, — გვეუბნება ფაბრიკის დირექტორი ვახტანგ რთველიაშვილი. — ჩავაწყეთ და მამა-პაპურად დავლოცეთ — ბარაქა არ მოგკლებოდესო. ჩავრთეთ ინკუბატორები. მალე ტემპერატურამ 37,5 გრადუსს მიაღწია. ზუსტად ეს ტემპერატურაა საჭირო წიწილების გამოსაჩეკად... მოუთმენლად ვითვლიდით დღეებს და ველოდით იმ წუთს, როცა მილიონობით და მილიარდობით წიწილებისაგან პირველი გამომამტვრევდა ნაჭუჭს. ეს დღე 6 იანვარს დადგა და ფაბრიკის პირველმა წიწილებმა პირველი დიდი გამარჯვება გვახარეს. გიგანტმა წარმატებით ჩააბარა გამოცდა.

დღეს ფაბრიკაში უკვე ასიათასობით ფრინველი ჰყავთ. აქ გამოზრდილი გარიები უკვე გაიყიდა გორისა და თბილისის მაღაზიებში.

მეჯვრისხეველ მეფრინველეებსაც აქვთ თავიანთი სოციალისტური შრომითი ვალდებულებანი. ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის ყველა ერთნაირი მონდომებით შრომობს — დირექტორი თუ მთავარი ვეტექიმი ქართლოს კაპანაძე, წიწილების მომვლელები მერი ჯავახიშვილი, ქეთინო თაყაძე, მედეა ჯოხაძე და სხვები. თითოეული შრომობს ერთი საერთო სურვილის განსახორციელებლად: ამიერიდან ყველა ქართულ ოჯახში გამოულევლად იქნება ქათმის ხორცი.

ალექსანდრე ტაბატაძე

სურათებზე: (ზემოდან) გორი, სტალინის სახელობის მოედანი; გორის სათბური; მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკა.

ფოტოები ედუარდ გიგილაშვილისა

ქ ვ ე ყ ა ნ ა ვ !



სურათზე: განახლებული გორის ერთ-ერთი კუთხე

წ ი ნ ა პ ა რ თ ა ნ ა კ ვ ა ლ ე ვ ზ ე

ქალაქ გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ფონდებითა და სამეცნიერო-კვლევითი და მასობრივ-საგანმანათლებლო მუშაობის მიხედვით ცნობილია რესპუბლიკაში.

მუზეუმი დაარსდა 1935 წელს და მხარეთმცოდნეობის მუზეუმად იწოდებოდა. არავითარი მემკვიდრეობითი ფონდი მას არ მიუღია. 1937 წელს მუზეუმს სათავეში ჩაუდგა ცნობილი მკვლევარი-მეცნიერი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგი მაკალათია და მას შემდეგ ფართოდ გაშლილი შეგროვებითი მუშაობით შეიქმნა მუზეუმის დღევანდელი მდიდარი ფონდი.

ამჟამად გორის სახელმწიფო ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმი მეთოდურ დახმარებას და კოორდინაციას უწევს აღმოსავლეთ საქართველოს მუზეუმებს, რომლებიც მდებარეობენ შიდა ქართლის ტერიტორიაზე (ხაშურის, ქარელის, კასპის, გორის, მცხეთის რაიონები, სამხრეთ ოსეთი).

გორის მუზეუმში დაცულია ახობით ნივთი, რომლებიც კავკასიის და წინა აზიის ხალხთა ხელოვნების იშვიათ ნიმუშებს წარმოადგენენ (ფერწერა, ქანდაკება, ინკრუსტაცია, ხეზე კვეთილობა და ა. შ.). აქვე მნიშვნელოვანი ფონდი სკკპ ისტორიისათვის, ცნობილი საბჭოთა მხატვრების ნამუშევრები, მასალები საბჭოთა ქვეყნის ისტორიისათვის.

გორის მუზეუმის ფონდებს სისტემატურად იყენებენ თავიანთ მუშაობაში მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები, სტუდენტები.

მუზეუმი თავის ფონდებში 40 ათასამდე ერთეულს ითვლის. აქედან 2000-მდე უნიკალური ექსპონატია. მისი ძირითადი სიმდიდრეა არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კოლექციები. ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის მითითებით, ჯერ კიდევ დაარსების პირველ დღეებში, სხვა მუზეუმებისაგან განსხვავებით, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა დაიწყო ნასოფლარების შესწავლა. მიკვლეულია 2500 ძეგლზე მეტი.

არქეოლოგიურ მასალებში დაცულია მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციის მიერ უძველეს ნასოფლარ-ნაქალაქარ „გუდაბერტყია-ციხიაგორაზე" მოპოვებული მსოფლიო მნიშვნელობის უნიკუმები: 5000 წლის წინადროინდელი სხვადასხვა კულტურული ჯიშის დანახშირებული ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, ღომი. ურბნისში, ბორცვ „ხიზანაანთ გორაზე" უძველესი ნასოფლარის არქეოლოგიური შესწავლისას აღმოჩენილია დანახშირებული წიაწყები ორი ჯიშის კულტურული ვაზის ყურძნისა. ეს წიაწყები თავისი ხნოვანების მიხედვით ერთადერთია მსოფლიოში და მიუთითებს კავკასიაში კულტურული ვაზის უძველესი კერის არსებობაზე.

უნიკალურია „გუდაბერტყია-ციხიაგორას" ადრე ბრინჯაოს პერიოდის ფენაში აღმოჩენილი თიხის საგვარეულო ბეჭდები, რომლებზეც გამოსახულია მზისა და დედა-მიწის ღვთაების სიმბოლოები, თიხის ქანდაკებები — „დიდი დედისა" და მამაკაცის კერპის გამოსახულებით, ხარის სიმბოლური ქანდაკებები, კუდიანი ცხვრის ქანდაკება, რომელიც მსოფლიოში ცხვრის ყველაზე ძველი ჯიშის ფორმად არის ცნობილი.

მუზეუმს აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, სადაც 24 000-მდე წიგნი და 16 304 პერიოდიკაა. იგი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ აქ დაცულია ცნობილ ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი ბიბლიოთეკები.

მუზეუმი ხშირად აწყობს მოძრავ და ერთდროულ გამოფენებს. აქ არის ორი განყოფილება: ისტორიის რევოლუციამდელი პერიოდისა და საბჭოთა საზოგადოების ისტორიის განყოფილება.

ლიდად ნაყოფიერია მუზეუმის თანამშრომელთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. გორის მუზეუმის ყველა სამუშაო მიმდინარეობს აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის საერთო ხელმძღვანელობით.

სერგო ნადიმაშვილი,
მუზეუმის დირექტორი, კულტურის დამსახურებული მუშაკი.

გორზე მასალების მომზადებაში დაგვეხმარნენ გორის რაიონული და საქალაქო გაზეთის „ბამარჯვების" რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი ლალი ჭანკოტაძე და გაზეთ „ზარია ვოსტოკას" საკუთარი კორესპონდენტი გორის ზონაში ალექსანდრე ტაბატაძე.

დ ი ა ლ ო გ ე ბ ი პ ა პ ა ტ ა რ ა ს ი ს თ ა ნ

რამდენი წლისა ბრძანდებით, პაპა ტარასიო, — მეკითხებიან. მეცხრე ათეულში ვდგევარ-მეთქი. მერე ჩემი ცხოვრების წარსულ დღეებზე და მაშინდელ სოფელზე შემეკითხებიან ხოლმე. მეც ვეუბნები, რომ ფლავი, ტყვიავი, ვარიანი და მთელი ქართლის სოფლები ერთნაირ სიდუხჭირეში ცხოვრობდნენ. ყველანი ერთისათვის შრომობდნენ, ის ერთი გალაღებული იყო, გლეხებს კი პირზე ღიმილი გაჭრობოდათ და მაშინ შეიქმნა შესაფერისი ფოლკლორი: „ღმერთმა დასწყევლოს ტყვიავი, თოვლს დასდებს აღარ აიღებს, რაც მოსავალი მოგვივა, მოვა ბატონი წაიღებს". ან: „დაწყევლილი მებატონე ჩამოივლის ვარიანსა, წეოკობას აუყენებს ქათამსა და ვარიასა". სოფლებს კი კარგი სახელები ჰქონდა, უძველესი ქართული სახელები. მათი უმრავლესობა თამარ მეფის სახელთან იყო დაკავშირებული. აი, ჩვენი სოფლის სახელიც ხომ მაშინდელია. თქმულება ამბობს: აქ თამარ მეფეს გაუვლია ამალით, ხევგაღმა ბექობზე შეუსვენია. დაბლობში მზარეულებს ფლავი მოუხარშიათ და დიდი თამარისათვის ფლავის თავი გაუგზავნიათ, აქედან უნდა მოდიოდესო სოფლების სახელები „ფლავი" და „ფლავისმანი".

მე, ტარასი საბაშვილი სოფელ ფლავში დავბადებულვარ და აქ გავიზარდე. რა იყო ჩემი, ღარიბი გლეხის შვილის ცხოვრება? სხვათა კარზე ვმუშაობდი. სხვისთვის ვღვრიდი ოფლს. მერე პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და ისევ ბობოლებისთვის ვღვრიდი სისხლს. ეს უკვე ის ხანა იყო, როცა ბოლშევიკების პარტია მომძლავრდა. მეფის ტახტი ძალუმად ირყეოდა და დღითიდღე სუსტდებოდა. მერე თებერვლის შეიარაღებული აჯანყება მოხდა. მას ოქტომბრის რევოლუცია მოჰყვა და რუსეთში მუშურ-გლეხური მთავრობა შეიქმნა.

ფლაველი გლეხი ტარასი საბაშვილი ამ დიდი ისტორიული მოვლენების შუაგულში ტრიალებს. 1918 წელს კომუნისტური პარტიის წევრი ხდება და პარტიის დავალებით კავკასიაში ჩამოდის სამუშაოდ.

1920-იანი წლები. პეტროგრადში დანთებული ცეცხლი მთელ ყოფილ იმპერიას მოედო. ბოლშევიკური ბაქო დიდი საქმეებისათვის ემზადებოდა. აქ მოღვაწეობდნენ რუსი, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი წითელი კომისრები. იმ ხანებში მეც ბაქოში ვიყავი და უფროსი მეგობრების დავალებებს ვასრულებდი. მერე რეაქციის ხანა დაიწყო. 26 ბაქოელი კომისარი ვერაგულად დახვრიტეს. პარტიის წევრები კვლავ არალეგალურ მუშაობაზე გადავედით. მე საქართველოში ჩამოვედი. მენშევიკურ მთავრობას ჩემი მშობლები დაეპატიმრებინა. ისინი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვიხილე. მერე ფლაველები ჩვენს სოფელს მივუტრიალდით. აქ მოკეთე უფრო ბევრი მყავდა, მაგრამ ჩვენს საქმეს მტერიც აღმოაჩნდა. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები ერთობ დაძაბული იყო.

ბოლშევიკური პარტიის ერთგული ჯარისკაცი ტარასი საბაშვილი, თანასოფლელების ხელმძღვანელია. ფლაველები მისი თავგანცობით ახალ ცხოვრებას აფუძნებენ და მომავალს დიდი იმედით შესცქერიან.

1927 წელს სოფელში სასოფლო-სამეურნეო არტელი ჩამოვაყალიბე. არტელმა 1929 წელს კოლმეურნეობის სახე მიიღო. არასდროს დამავიწყდება ის დღეები, როცა სახნავ-სათესი მამულების მიჯნები წავმალეთ, როცა პირველი საკოლმეურნეო გუთნეული გავიტანეთ, როცა ილია მარიამაძემ და გრიგოლ ჭარელმა პირველი ტრაქტორები მოაგრიალეს. დასვენება არა და არ მეწერა. სახალხო საქმეს ბევრი მტერი აღმოაჩნდა. სოფლის ყოფილმა ბობოლებმა ისღა მოასერხეს, რომ სახლ-კარი გადამიწვეს, ჩვენს საქმეს კი ვერაფერი დააკლეს.

არა და, როგორ სწორედ იწინასწარმეტყველა იმ დალოცვილმა. 1931 წელს წყალტუბოში სტალინს შევხვდი. ჩემი სადაურობა იკითხა. მერე ფლაველი ბესო მეტრეველი მოიკითხა, თავისი გამზრდელი. ისიც მკითხა, კოლექტივი რას შვრებაო. მერყეობს-მეთქი, ვუპასუხე. გაუფრთხილდით კოლმეურნეობასო, მითხრა, გლეხკაცს ამგვარი ერთობა მოუტანს კეთილდღეობასო. მართლაც, კოლმეურნეობები განმტკიცდა და ჩვენი დიდი თანამემამულის ნათქვამი აღსრულდა.

პარტიის დავალებით რამდენიმე წელიწადს საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ვიმუშავე. მანავში საბაშვილები დამხვდნენ, ჩემი გვარის სალხი. მაშინდელი მანავი როგორ შეედრება ეხლანდელს. მაშინ ორიოდე ჰექტარი ვენახი ჰქონდა კოლმეურნეობას. დღეს თვალი ვერ გადასწვდება მანაველთა ზვრებს. ადრინდელი სოფელი ღარიბი იყო. დღევანდელი კი სიმდიდრით დუღს და გადმოდუღს. უკანასკნელად ამ ერთი წლის წინ ვესტუმრე მანაველებს, გიორგი და ქიტესა საბაშვილები მოვინახულე. გიორგის ვაჟიც ვნახე. ოთარი შვიდი-რვა წლის ბიჭი მახსოვს, მამას რომ მოაკითხავდა ხოლმე კოლმეურნეობაში, ის ბიჭი დავაჭაცებულა. მანაველებმა გაამდიდრეს და გაამშვენიერეს მშობლიური სოფელი.

მანავში მუშაობის შემდეგ ტარასი საბაშვილი კვლავ მშობლიურ სოფელს უბრუნდება. მისი თავგანცობით ფლავი იზრდება, ღონიერდება.

ფლავი მდიდარი და ღონიერი სოფელია. ეს იმიტომ, რომ შვილები და შვილიშვილები მხარში ამოგვიდგნენ. მათ მამა-პაპაზე მეტად უერთგულეს კოლმეურნეობას. სხვაგვარად დღევანდელი ცხოვრება ვერ მოვიდოდა.


ცხოვრებისეულ კეთილდღეობას თავიანთი ხელებით იმკიან გიუნაშვილები და მეტრეველები, საბაშვილები და ეცადაშვილები, გოგშელიძეები და თენაძეები.

სოფლის თავკაცის ესტაფეტა კი ყოველთვის ღირსეული მშრომელის ხელშია. ჩემს შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ყოველთვის ისეთი ადამიანები მუშაობდნენ, რომლებიც დღენიადაგ სოფლის კეთილდღეობისათვის ზრუნავდნენ. მარტო შოთა ეცადაშვილის თავკაცობა რად ღირდა სოფელს! მაშინ აშენდა სოფელში ბავშვთა ბაგა-ბაღები, კაფე-სასადილო, კავშირგაბმულობის შენობა, აბანო... აღარას ვიტყვი მოასფალტებულ საუბნო გზებზე, მოჩხრიალე წყაროებზე. მერე შოთა პარტიის ქარელის რაიკომის მდივნად გადაიყვანეს და ჩვენ ბევრი არ გვიფიქრია, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ვახტანგ გოგშელიძე ავირჩიეთ, ორმოცდაათ წელს მიღწეული ფლაველი ვაჟკაცი. იყო რიგითი წევრი, ბრიგადირი, კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე. შაჩრის ჭარხლის უხვი მოსავლისათვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. უკეთესს ვის ავირჩევდით! ისე უვლის თავკაცი სოფელს, როგორც თავის ეჭვს შვილს.

როცა შემეკითხებიან: რამდენი წლისა ბრძანდებით, პაპა ტარასიო, მეცხრე ათეულში ვდგევარ-მეთქი, ვეუბნები.

ყველაფერი ვერ გითხარით. კმაყოფილი და ბედნიერი კაცი ვარ, რადგან ბედნიერები არიან გიუნაშვილები და მეტრეველები, საბაშვილები და ეცადაშვილები, გოგშელიძეები და თენაძეები, ჩემი დიდ-პატარა თანასოფლელები.

ჩაიწერა
ჯემალ ქურხულმა



დიდი ტრადიციის თეატრში



გორის სახელმწიფო თეატრი

გორის თეატრის 100 წლის იუბილე

გორი, ქართლის გული, ლიტერატურული და თეატრალური ტრადიციების ქალაქია. გორის მადლიანმა მიწამ გაზარდა „დედაენის“ ავტორი იაკობ გოგებაშვილი. აქ მოღვაწეობდა ხალხოსან მწერალთა მთელი პლეადა. გორიდან იღებს სათავეს ქართული თეატრი — 1851 წელს აქ დაიდგა გიორგი ერისთავის პიესა „გაყრა“ და ეს დღე ქართული თეატრის დაბადების დღედ იქცა.

სახელმწიფო თეატრი, რომელიც გორში 1939 წლის 21 დეკემბრიდან არსებობს, ცნობილი ქართველი დრამატურგის გიორგი ერისთავის სახელს ატარებს.

თავისი არსებობის მანძილზე თეატრმა 250 ახალი დადგმა განახორციელა. სათქმელად არის იოლი, თორემ რამდენი შრომა, ოფლი და გარჯა, სულიერი და ფიზიკური ძალები დასჭირდა იმ 250-ის განხორციელებას! მაგრამ იმასაც თუ ვიტყვით, რამდენი სიხარული და ესთეტიკური სიამოვნება მოუტანია ამ სპექტაკლებს მაყურებლისათვის, მაშინ მძიმე ტვირთი, რომელსაც 33 წელიწადია ატარებს თეატრის კოლექტივი, ასმაგად მსუბუქდება, საამო და სასიხარულო ხდება.

დიდი შემოქმედებითი ძიების გზა განვლო გორის თეატრმა. მრავალი წლის განმავლობაში რთულმა და ინულმა შრომამ ჩვენს კოლექტივს გამოუმუშავა პროფესიისადმი პატივისცემის, საქმისადმი სერიოზული მიდგომის, მაყურებლის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა.

გორის თეატრთან არის დაკავშირებული მრავალი განთქმული მსახიობის სახელი.

გიორგი ერისთავის თეატრის კოლექტივის აღზრდისა და დავაჟკაცების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართული სცენის მოამაგეებს, რესპუბლიკის სახალხო არტისტებს პავლე ფრანგიშვილსა და ვასილ ყუშიტაშვილს. წლების განმავლობაში თეატრის შემოქმედებით ცხოვრებას ხელმძღვანელობდნენ რეჟისორები — რესპუბლიკის სახალხო არტისტი გრიგოლ ლაღიძე, თეიმურაზ ლორთქიფანიძე, შოთა ქარუხნიშვილი, ლილი იოსელიანი და სხვები. დღეს თეატრის შემოქმედებით მუშაობას უნარიანად უძღვება ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი აბრამიშვილი, რომელიც კოლექტივში 1952 წელს მოვიდა.

ჩვენი თეატრი ყოველთვის მზარდამხარ მიყვებოდა ცხოვრებას. არსებობის პირველ დღეებიდანვე იგი ხალხის სულისკვეთების გამომხატველია.

დიდი სამამულო ომის წლებში თეატრმა ღირსეულად შეასრულა საპატრიო მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ომის პერიოდის რეპერტუარი — აკაკი წერეთლის „პატარა კახი“, ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილი“, დავით ერისთავის „სამშობლო“, ვალერიან გუნიას „და-ძმა“, მიხეილ ჯავახიშვილის „ჟამთაბერის ასული“, ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატი“ და სხვა პიესები სამშობლოსადმი თავდადებას, გმირობასა და ვაჟკაცობას უნერგავდნენ მაყურებელს.

გიორგი ერისთავის, დავით კლდიაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებთა გვერდით ერისთავის თეატრის სცენაზე სხვადასხვა დროს ქართულ ენაზე აჟღერებულა სოფოკლეს, შექსპირის, შილერის, ლესინგის, ბომარშეს, რაბინდრანატ თაგორის, ფლეტჩერის, ოსტროვსკის, ჩეხოვის, გორკისა და სხვა ცნობილ შემოქმედთა ნაწარმოებები.

ჩვენი თეატრი არ იფარგლება ვიწრო ჩარჩოებით — იგი მთელ შუა ქართლს ემსახურება — გასვლით წარმოდგენებს მართავს კასპის, ქარელისა და ხაშურის რაიონების დაბა-სოფლებში.

მაყურებელთან მრავალი წლის შემოქმედებითმა ურთიერთობამ დაგვარწმუნა, რომ ქართლის მკვიდრთ უყვართ თავისი თეატრი, მუდამ გულდასმით და ყურადღებით ხვდებიან თეატრის ყოველ ახალ დადგმას.

თეატრის დაარსების დღიდან გორის თეატრში მუშაობენ და თავიანთ მდიდარ გამოცდილებას გადასცემენ ახალგაზრდებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი შალვა ხერხეულიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ვასილ კახნიაშვილი, სტეფანე გრიქუროვი, ერვანდ არაქელოვი, ნინო ბეროზაშვილი, მარიამ ბახტაძე, როზალია ცაბაძე, მსახიობები ეთერ მოციქულაშვილი და ლუსია სეილანოვა, კოსტუმების მკერავი ნიკოლოზ მანაგაძე.

მრავალი წლის მანძილზე თეატრში წარმატებით მუშაობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ქეთევან ბოჭორიშვილი, ნინო ხალდასტანიშვილი, მარიამ ნოზაძე, გიორგი დენისაშვილი, ვალერიან მარსაგიშვილი, სერგო ტატალაშვილი, ლევან მცხეთელი, მსახიობები გიორგი ბასიშვილი, ბახვა ღონღაძე, ოთარ დათუნაშვილი, არტემ მურადოვი, ლევან ოზგებაშვილი, ჟუჟუნა კაბულაშვილი, ფატი ფულარიანი, ზაურ ჯულაბაშვილი, ნარგიზა სალუქაშვილი, სადადგმო ნაწილის გამგე ამირან ჩრდილელი, მხატვარ-შემსრულებელი ირაკლი მჭედლიშვილი, სცენის უფროსი მემანქანე ოთარ ცერცვაძე და სხვები, რომელთაც წილად ხვდათ ბედნიერება აღენიშნათ გორის თეატრის ასი წლიც იუბილე.

გორის თეატრთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ცნობილი კომპოზიტორების ვანო მურადელის, ალექსი მაჭავარიანის, სანდრო მირიანაშვილის სახელები, აქ სხვადასხვა დროს თავისი შემოქმედებითი კვალი დატოვეს თეატრალურ-დეკორატიული მხატვრობის ისეთმა ცნობილმა ოსტატებმა, როგორებიც არიან დიმიტრი თავაძე, ფარნაოზ ლაპიაშვილი, ივანე ასკურავა და სხვები. მათთან ერთად ბევრმა ახალგაზრდა მხატვარმა გორის სცენაზე წარმატებით სცადა თავისი ფუნჯი დეკორატიულ ხელოვნებაში. დღეს ამ დიდ ტრადიციებს აგრძელებს თეატრის მთავარი მხატვარი — რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი შოთა ხუციშვილი.

თანამედროვე ქართველ მწერალთა და დრამატურგთა გვერდით გორის თეატრის კოლექტივთან აქტიურად თანამშრომლობენ ჩვენი ქალაქის მკვიდრნი ოთარ ჩხეიძე, ივანე ურჯუმელაშვილი, შოთა მახარობლიძე და შალვა ჭულუხაძე.

გორის თეატრის კოლექტივის თითოეულ წევრს სწამს და სჯერა, რომ შემოქმედებითი ძიებითა და შრომით აღსავსე დიდ გზაზე კიდევ მრავალჯერ გაახარებენ მაყურებელს.

შოთა ჯვარიძე,
გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო სარაიონთაშორისო დრამატული თეატრის დირექტორი.

სიყვარული ისა სჯობს, რაც ძველია

მას ოთხივე კიდური მოკვეთილი ჰქონდა. არავინ იცოდა, როგორ გაიგო დაჭრილმა ეს — თვითონ მიხვდა თუ უთხრა ვინმემ. ის დღე იყო და ის. მშვიდი, წყნარი ავადმყოფი ერთბაშად შეიცვალა. უკვე თვე ხდებოდა, დღედაღამე დაოსებამდე გაჰყვიროდა, ჩხუბობდა, იმუდარებოდა, მოითხოვდა საწამლავი მიეცათ ან ტყვია გაემეტებინათ ერთი. მრავალჭირნახული ექიმებიც ვეღარ უძლებდნენ მის ტანჯვას, ომის ჯოჯოხეთურ ქარცეცხლში გამოვლილი დაჭრილები ერიდებოდნენ მის პალატასთან გავლას, რადგან სიკვდილდაკარგული, კუტად ქცეული კაცი ყველას შესჩიოდა — სიკვდილი რატომ წამართვითო.

ერთ დღეს, როცა ყვირილისაგან სასომიხდილი ვერაფერმა დაწყნარა, მის ოთახში ქალი შევიდა.

— უნდა გიმღერო, — უთხრა ქალმა.

კაცს ენა ჩაუვარდა. ხომ არ გაგიჟებულაო, გაიფიქრა ქალზე. უნდოდა ისევ ყვირა, ხმა ვერ დაიმორჩილა რატომღაც.

— უნდა გიმღერო, — გაიმეორა ქალმა.

კაცმა კვლავ ვერაფერი თქვა...

ქალი საწოლზე ჩამოუჯდა, ხელი საბნის ქვეშ შეუცურა, მკერდზე ის ადგილი მოუძებნა, გული რომ ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა, მეორე ხელი თავზე გადაუსვა.

კაცს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ქალმა სიმღერა დაიწყო.

დაჭრილისათვის გაუგებარ ენაზე მღეროდა ქალი. სიტყვები იყო უცხო, თორემ მელოდია ძალზე ახლობელი და მშობლიური ეჩვენა. ამ სიმღერამ რატომღაც დედა გაახსენა, ქალის ხელებსაც დედის ხელის სითბო ჰქონდა თითქოს და ყველა ჭრილობა ერთბაშად დაუამდა. წამოიწია. ქალმა ხელი შეაშველა და მისი თავი კალთაში ჩაიდო.

— კიდევ იმღერე, — სთხოვა, როცა სიმღერა შეწყდა.

— კიდევ...

— კიდევ...

მღეროდა ქალი. მღეროდა დაბალი, მსუყე ხმით. მის ხმას დედის ხმის სილბო დაჰკრავდა, დედის გულის სინაზე. მღეროდა სიცოცხლეზე, სილამაზეზე, სიყვარულზე, ბედნიერებაზე...

— კიდევ მიმღერე, — დაუსრულებლად იმეორებდა კაცი.

ქალს სიმღერა არ ელეოდა...

გვიან, როცა ქალმა იგრძნო, ავადმყოფი ღრმა ძილს მიეცაო, თავი სასთუმალზე გაუსწორა და პალატიდან ფეხაკრეფით გავიდა.

ქალი მერი შილდელი იყო.

* * *

საუბარი ყვავილებით დავიწყეთ.

მაგიდაზე ლარნაკში ალისფერი სავერდოვანი ვარდები იწონებდნენ თავს.

— ეს ჩემი მიწის ვარდებია, — მითხრა ქალბატონმა მერიმ. — დედამ და მამამ ჩამომიტანეს შილდიდან. — ყვავილი ჩემი ცხოვრების კეთილი თანამგზავრია, — თითქოს ფიქრებს გაჰყვაო მერი, — როცა ყვავილი მელევა სახლში, ისე მგონია, სიცოცხლეც დაილიაო...

სიმღერა? სიმღერაზე რაღას იტყვით? ისიც ხომ თქვენი ცხოვრების კეთილი თანამგზავრია, განუყრელი, ერთგული-მეთქი, გკითხე.

— სიმღერა? სიმღერა თვითონ არის სიცოცხლე ჩემი, — მიპასუხა.

როდის ისწავლა სიმღერა?

ალბათ, აკვანში. მაშინ თუ დაანათლა ბებია დარომ სიმღერის სიყვარული. აუ, რა ეშხით მღეროდა ბებია დარო ბაიათებს: „მთვარიან ღამეს შენს ფანჯარას ავფული და ჩავუვლი!“ მღეროდა გატაცებით და შვილიშვილსაც დედის ძუძუსთან ერთად ქართული სიმღერის შნოსა და ლაზათს აწოვებდა.

მერის გალობის პირველი შემფასებელი ზაქარია ჩხიკვაძე გახლდათ. „მე წყარო ვარო“, მართლაც წყაროსავით ჩაარაკრაკა 8 წლის გოგონამ და ზაქარიამ განაცხადა, ეს ბავშვი და სიმღერა ერთმანეთს არასოდეს უღალატებენო.

სწავლობდა თელავში, თბილისში. დედაქალაქში შეხვდა ცხოვრების თანამგზავრს ბორის ვადაჭკორიას. ახალგაზრდა ცოლქმარს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, მაგრამ მთავარი მაინც სიმღერის სიყვარული იყო.

— ბორისმა მიმიყვანა კონსერვატორიაში, სადაც თვითონაც სწავლობდა, — იგონებს მერი, — ვრონსკის კლასში დავიწყე ხმის დამუშავება. მაგრამ 1937 წელს მოვუსმინე ძველებური სიმღერების სახელგანთქმულ შემსრულებელს ქეთო ჯაფარიძეს და კონსერვატორიას თავი დავანებე. ქეთომ საოცრად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, არ შემეძლო არ გაყოლოდი მის კვალს. ერთი წლის შემდეგ საესტრადო სიმღერების რესპუბლიკურ კონკურსზე პირველი ადგილი მოვიპოვე...

იმ დღიდან დაიწყო ახალგაზრდა მომღერლის წინსვლა გოლიათური ნაბიჯებით. ხალხმა გაიცნო, შეიყვარა, შეითვისა მერი შილდელის სიმღერები და თავის მომღერლად აღიარა.

...1941 წელი. მერი ემზადება საკავშირო კონკურსზე მოსკოვში გასამგზავრებლად. მაგრამ... კონკურსის მონაწილეებს ომმა მატარებელში მოუსწრო.

ომის დაწყების პირველი დღიდანვე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა ბორის ვადაჭკორია. მისი უკანასკნელი ბარათი ქერჩიდან ჩამოუტანა მერის ცნობილმა დრამატურგმა გიორგი მდივანმა. ბორისი სწერდა. მჯერა შენი ხმისა და გემუდარები, ესტრადას თავი არ დაანებო...

რამდენიმე ხნის შემდეგ კი პატარა ქალაღდმა უზარმაზარი უბედურება ამცნო. ბორის ვადაჭკორია აღარც ცოცხლებში ეწერა, აღარც მკვდრებში. უგზოუკვლოდ გამქრალიყო კაცი...

დიდი იყო ელდა, მაგრამ იმედიც ბუჟტავდა სადღაც. იქნებ... ეს იმედი აცოცხლებდა, აძლევდა ძალას. ეს იმედი დაატარებდა ფრონტის წინა ხაზზე, სადაც სამშობლოს დამცველთათვის სიმღერებად იფრქვეოდა მისი სევდა და სიხარული, მწუხარება და სიყვარული. მებრძოლები სულგანაბული უსმენდნენ მერის შესრულებულ რომანსებს და მოწიწებით იხრიდნენ თავს ქალის წინაშე, რომელმაც აჯობა საკუთარ მწუხარებას და ეხლა სხვისი მძიმე, ჯარისკაცული ცხოვრების შემსუბუქებაზე ზრუნავდა. სწორედ მაშინ ერთ-ერთი ჰოსპიტლის მთავარმა ექიმმა ალექსანდრე ორლოვსკიმ სთხოვა, მძიმე ავადმყოფი გვყავს, კოლია ასტახოვი, ოთხივე კიდურმოკვეთილი, ერთი თვეა არ სძინავს, მორფიუმით ვაძინებთ, შედით მის ოთახში, უმღერეთ, იქნებ როგორმე უშველოთო.

— რა უმღერეთ, ქალბატონო მერი, ასტახოვს?

— ჩემს სიცოცხლეში პირველად მაშინ ვიმღერე იავნანა. საერთოდ, მხოლოდ ქართული სიმღერები ვუმღერე, თუმცა იმ ხანებში ჩემი რეპერტუარი რუსული რომანსები იყო. რატომ ვუმღერე რუს კაცს ქართული იავნანა, დღესაც ვერ გეტყვით...

...ქართული რომანსი გიორგი ჩუბინაშვილმა შეაყვარა. ფილარმონიაში ლადო კავსაძისათვის მიეტანა „მუხამბაზი“ და „ხმა გულისა“. ლადოს უარი ეთქვა, ვერ ვიმღერებო. გულდაწყვეტილ კომპოზიტორს მერი შილდელი გაჰკიდებია უკან — მე მომეცითო თქვენი სიმღერები... ახალგაზრდა მომღერალს არ იცნობდა კომპოზიტორი, ეგრე ადვილად ვერ ანდო სულისა და გულის ნაწილი. სახლში მოდი, ჩემო შვილო, იქ ვნახოთ, რა გამოგივა. მერი მივიდა და... „ხმა გულისა“ და „მუხამბაზი“ მისი საშემსრულებლო ხელოვნების გვირგვინი გახდა.

„რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
გეფიცები, ტურფავ, შეგიყვარდები“...

მღეროდა მერი, მღეროდა „ჭაქრის გულითა“ და „ბულბულის ენით“, მღეროდა ბულბულზე, გულში რომ „სტვენდა სიყვარულს გაგიგეებული“. ბევრმა იცოდა, ბევრმა არ იცოდა მერის „გულის დარდები“ და მაინც ყველა ერთნაირად უღებდა მომღერალს საკუთარი გულის კარს...

ვახტანგ ჯაბადარის სიმღერას „ერთხელ ვიხილე ბაღში ყვავილი“ — ტკბილი მოგონება ახლავს. წულუკიძეში კონცერტის შემდეგ მასთან მამაკაცი მივიდა, გაეცნო. ვახტანგ ჯაბადარი აღმოჩნდა, საფრანგეთიდან ახლად დაბრუნებული. ვახტანგმა გადასცა თავისი სიმღერები „სამშობლო“, „რისთვის მიყვარხარ“, „არ დაიჯერებ“, აგრეთვე ძმის — ერეკლე ჯაბადარის ძველებური რომანსები: „სატრფოვ“, „ღოყით მოეპყარ ჩემსა ღოყასა“... შემდეგში ჩუბინაშვილის, ია კარგარეთელის მივიწყებულ რომანსებთან ერთად ამ სიმღერებმაც დაამშვენეს მერის რეპერტუარი.

ქუთაისში რომ ჩავიდოდა, მთელი ქალაქი ფეხზე იდგა — ჩვენი მერი ჩამოსულაო. ქალაქი, რაიონი არ იყო ჩვენში, სადაც ხელისგულზე არ ეტარებინოთ. უყვარს ხალხს, აფასებს. მადლობის მეტი რა ეთქმის!

ზეიმით აღუნიშნა შილდამ თავის პირმშოს დაბადების 50 წელი. საქართველოს ტელევიზიამ დიდი გადაცემა მიუძღვნა მერი შილდელის შემოქმედებას.

სწორედ ამ საზეიმო დღეს გადაწყვიტა მერიმ: დროა! უნდა დატოვოს სცენა!

კვლავ ხალხის სამსახურში ჩადგა მომღერალი ქალი — პედაგოგად მიიწვიეს ახლად შექმნილ საესტრადო სასწავლებელში. ახალი თაობის აღზრდაზე გადაიტანა თავისი დიდი სიყვარული.

— რას უმღერით თქვენს აღსაზრდელებს, ქალბატონო მერი?

— ჩემს სიმღერებს ვასწავლი, ძველ სიმღერებს. წარმოიდგინეთ, მოსწონთ და სიამოვნებით სწავლობენ. როგორც ჩანს, კარგ სიმღერას დაბერება არ უწერია, ისევე როგორც სიყვარულს... სიმღერა შეიძლება მოძველდეს, მაგრამ დროებითია ეს მოძველება, მალე ახალი ძალით იფეთქებს ხოლმე. სიმღერის დაძველება არაფერია, მთავარია სიყვარული არ დაგვიძველდეს...

სიყვარული დაგვიძველდესო?

„სიყვარული ისა სჯობს, რაც ძველია“...

ლია მიქაძე

ძატჩი ერევანში

ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდა ფეხბურთელთა შორის უეფა-ს დადგენილებით წლეულს პირველად იმართება. შარშანდელ შესარჩევ ეტაპზე ესპანეთის ნაკრებთან გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელმა ლევან ნოდიამ, ხოლო პირველ მეოთხედფინალურ მატჩში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალგაზრდულ ნაკრებთან, რომელიც ერევანში გაიმართა 29 აპრილს, ლევანი მისმა ძმამ გივამ და თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა გარემარბმა ვლადიმერ გუცაევმა შეცვალეს.

საბჭოთა გუნდი მოედანზე გივი ნოდიამ გამოიყვანა. აღსანიშნავია, რომ პირველი ნაკრების კაპიტანიც ქართველი ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა გახლავთ, რაც კიდევ ერთხელ ნათლად შეტყველებს ქართული ფეხბურთის დიდ დამსახურებასა და ავტორიტეტზე.

3:1 — დამთავრდა ეს მატჩი, თუმცა ჩვენს ბიჭებს ზოგიერთ მომენტში ოდნავ მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, ანგარიში გაცილებით მეტი იქნებოდა.

პირველი ბურთი გივი ნოდიას გადაცემის შემდეგ გაიტანა ვლადიმერ გუცაევმა. როგორც პასი, ისე დამაგვირგვინებელი დარტყმა შესრულდა ლამაზად. მეორე ბურთის ავტორია ანდრე იაკუბიკი, მესამისა — ოლეგ ბლოხინი.

საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს თბილისის დინამოელებმა გივი ნოდიამ და ვლადიმერ გუცაევმა. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ გივი ნოდიას სამოქმედო ასპარეზი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანია, ხოლო მისი სტიქია — მეტოქის კარის შტურმი. სწორედ ამიტომ არის, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გატანილი ბურთების რიცხვით თავის ასაკთან შეფარდებით, გივი პირველ ადგილზე დგას უველა დროის ფეხბურთელთა შორის. მაგრამ ერევნის მატჩში იგი სულ სხვა ამპლუაში მოგვევლინა. შეამჩნია რა საბჭოთა ნაკრების ნახევარმცველების ინდივიდუალური თამაშით გატაცება, გივიმ ნებაყოფლობით დაიხია უკან და თამამად იკისრა თამაშის დირიჟორის ფუნქცია, რასაც ჩინებულად გაართვა თავი.

წარმატებით ითამაშა ახალგაზრდა ვლადიმერ გუცაევმაც. მეორე ტაიმში იგი სულ უფრო ხშირად გამოდიოდა გამარჯვებული თავის მეტოქესთან ორთაბრძოლაში და ლამაზი გარღვევებითა თუ აზრიანი გადაცემებით ხშირად ქმნიდა სახიფათო მომენტს მოწინააღმდეგის კართან. მის მიერ გატანილი ბურთიც რთულ სიტუაციაში სწრაფი გარკვევისა და ზუსტი დარტყმის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

თამაშის შემდეგ რამდენიმე კითხვით მივმართეთ საბჭოთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ბორის ნაბოკოვს.

— რას იტყვით თბილისის „დინამოს“ წარმომადგენელთა დღევანდელ თამაშზე?

— როდესაც გივის გუნდის კაპიტნად ვირჩევდით, მისი დიდი გამოცდილებისა და ოსტატობის გვჯეროდა. უნდა ითქვას, რომ გივიმ გაამართლა ჩვენი ნდობა. მოედანზე ის იყო ნამდვილი კაპიტანი, გუნდის უველა იერიშის დამწყები და ორგანიზატორი. იმის მიუხედავად, რომ გივის არცერთი ბურთი არ გაუტანია დღევანდელ თამაშში, მისი დიდი მადლობელი ვართ.

ვლადიმერ გუცაევი პერსპექტიულ ფეხბურთელად მიმაჩნია. მან მაღალ დონეზე ჩაატარა დღევანდელი შეხვედრა, ხოლო მისი შეცვლა არავითარ შემთხვევაში არ იყო გამოწვეული თამაშის ხარისხით. უბრალოდ, რადგანაც ამის საშუალება მოგვეცა, გვინდოდა კიდევ ერთი ფეხბურთელი გამოგვეცადა მარჯვენა გარემარბის ადგილზე.

— ხომ არ აპირებთ სხვა ფეხბურთელების მიწვევას თბილისის „დინამოდან“ ნაკრების შემადგენლობაში?

— დიდ იმედებს ვამყარებდით შოთა ხინჩაგაშვილზე, მაგრამ შოთას განუწყვეტელი ტრავმების გამო არ მოხერხდა მისი მოწვევა. უახლოეს მომავალში გუნდის შემადგენლობაში ვფიქრობთ შევიყვანოთ მანუჩარ მაჩაიძე.

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა წარმატებით გადალახა ევროპის ჩემპიონატის პირველი მეოთხედფინალური საფეხური. საპასუხო მატჩი გაიმართება ხვალ, 13 მაისს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ დიუსელდორფში.

ენვერ ნიჟარაძე,
ერევანი, ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

სპორტი

ოდითგანვე განთქმულნი იყვნენ გორელი ფალავნები. ტოლი—ტოლს ეჭიდებოდა, უბანი — უბანს, წმინდაწყალელები — გარეუბნელებს, ციხისუბნელები — წყაროსუბნელებს, ღამბარაანთუბნელები — გალმელებს. დიდ ერიამულში, დუდუკის ბუბუნში იბადებოდნენ საყვარელი ფალავნები, მდიდრდებოდა ქართული ჭიდაობის ვაჟკაცური ტრადიციები.

გორელი ფალავნები



ქართული ჭიდაობის უბადლო ოსტატებად ითვლებოდნენ ძმები ეგნატაშვილები, სანდრო ნაკახაშვილი, მიშა და იასონ ბერელაშვილები, არტაშ მიხაილაშვილი, გენო ყაზარაშვილი და სხვანი, რომელთაც საჭიდაო ხალიჩებზე თუ ცხოვრებაში ჭეშმარიტად ვაჟკაცური სახელები მოიპოვეს.

1956 წელი. პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფაკულტეტდამთავრებული გურამ პაპიტაშვილი ინიშნება ინსტიტუტის ფიზკულტურის მასწავლებლად და მოჭიდავეთა გუნდის მწვრთნელად. მაშინ არავინ იცოდა, რა დიდებული მომავალი ჰქონდა გუნდს, რომელსაც სათავეში ახალგაზრდა მწვრთნელი ჩაუდგა. ორიოდე წელი გავიდა და გორელმა ფალავნებმა მრავალ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში იახელეს თავი. გურამ პაპიტაშვილმა საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო სამბისტების მომზადება. ნოდარ ნავროზაშვილი, ბუღდან ბაღაკაშვილი, ანზორ ქიბროწაშვილი, შალვა რომელაშვილი და სხვები გულმოდგინედ ემზადებოდნენ სტუდენტთა საკავშირო უნივერსიადისათვის.

...ქალაქ ხარკოვში თავი მოიყარეს საბჭოთა კავშირის 22 უმაღლესი სასწავლებლის ფალავნებმა. თავდაპირველად აღლუმი გაიმართა, მაგრამ იმის გამო, რომ გორელებს ერთი კაცი აკლდათ, უნივერსიადის საზეიმო გახსნაში მონაწილეობა არ მიუღიათ... შეჯიბრების დამთავრების შემდეგ კი გორელი ბიჭები აღლუმს სათავეში მოექცნენ — როგორც ჩემპიონები.

1966 წელს საკავშირო სარბიელზე ანზორ ქიბროწაშვილის სახელმა გაიბრწყინა. მერე ვახტანგ ბორჩაშვილი გახდა ჩემპიონი, 1971 წელს კი სერგო ჭარელი.

გორელმა მოჭიდავეებმა 1962 წლიდან დაიწყეს ვარჯიში ძიუდოში, იმავე წელიწადს ანზორ ქიბროწაშვილმა ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა და მშობლიური გორი ასახელა. ექვსჯერ ავიდა ამ საპატიო კვარცხლბეკზე ანზორი. მის კვალს მიჰყვა მეორე გორელი ფალავანი რობერ მაღალთაძეც, ხოლო დურმიშხან ბერუაშვილმა რამდენჯერმე დაიკავა საპრიზო ადგილები.

ისიც სათქმელია, რომ ანზორ ქიბროწაშვილმა ჩვენი ქვეყნის ძიუ-დოისტთა შორის საუკეთესო შედეგს მიაღწია, იაპონელ ინოკუბას შემდეგ მსოფლიოში მეორე ადგილი დაისაკუთრა.

გორელი ფალავნების აღზრდისა და დაოსტატებისათვის გურამ პაპიტაშვილს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. იგი დღეს საბჭოთა კავშირის ძიუ-დოისტთა ნაკრების მწვრთნელია და ამ საპატიო, საპასუხისმგებლო საქმეს შესანიშნავად ართმევს თავს.

ჩვენ შევხვდით გურამ პაპიტაშვილს და ვთხოვეთ მოკლედ მოეთხრო გორელი ფალავნების უკანასკნელ ასპარეზობებზე, მათს მომავალ გეგმებზე.

— ორიოდე თვის წინ ჩვენი ბიჭები მონაწილეობდნენ ათი ქვეყნის ტრადიციულ პირველობაზე ძიუ-დოში. გვასახელა შოთა ჩოჩიშვილმა, რომელიც ჩემპიონის კვარცხლბეკზე ავიდა.

მერე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვიყავით. საბჭოთა ნაკრებში გორიდან ოთხი მოჭიდავე შედიოდა — სერგო ჭარელი, შოთა ჩოჩიშვილი, ნოდარ ექვთიმიშვილი და ჯემალ ხორბალაძე. შეჯიბრებაზე ჩვენმა 9 მოჭიდავემ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 29-კაციანმა გუნდმა თანაბარი ქულები დააგროვეს, რითაც პირველი ადგილი ფაქტიურად ჩვენ მოვიპოვეთ.

ამჟამად სტუდენტთა მსოფლიო პირველობისათვის ვემზადებით, რომელიც წლეულს ჩატარდება ლონდონში. მანამდე ამხანაგური შეხვედრებს გავმართავთ იაპონელ ძიუ-დოისტებთან. მიუნჰენის ოლიმპიური თამაშებისათვის საბჭოთა ძიუდოისტების ნაკრებში დასახელებულია ოთხი გორელი მოჭიდავე — შოთა ჩოჩიშვილი, სერგო ჭარელი, ნოდარ ექვთიმიშვილი და გენადი თანდილოვი.

ახალგაზრდა გორელი მოჭიდავეები ღირსეულად განაგრძობენ წინაპართა მდიდარ ტრადიციებს, თავიანთი ბრწყინვალე წარმატებებით სახელს უხვეჭენ მშობლიურ ქალაქს.

ილო თევდორაშვილი

სურათზე: გორელი ფალავანი ანზორ ქიბროწაშვილი.

დედამიწაზე





გორის შესახებ საგაზეთო მასალებს რომ ვაგროვებდით, შემთხვევით ანა გეხტავაშვილის ოჯახში აღმოვჩნდით — ქალბატონ ანას უფროსი ვაჟიშვილი რაიონის მთავარი აგრონომია და სოფელ ფლავში გამგზავრების წინ მაქამ სახლში მივხვდით. საუბრისას აღმოჩნდა, რომ ქალბატონი ანა იმ ალექსანდრე გეხტავაშვილის ღვიძლი დაა, რომელიც ამჟამად ლონდონში ცხოვრობს. ჩვენი გაზეთის მკითხველებს ეგებ ახსოვდეთ კიდეც მისი შარშანწინდელი სტუმრობა საქართველოში და წერილი გაზეთ „სამშობლოში“, რომლითაც ბატონმა ალექსანდრემ ლონდონში ახალი წელიწადი მიულოცა თავის მეუღლეს — თორას, შვილებს — მერის, გოგისა და ქრისტინეს.

ქალბატონ ანას ორი დღის წინ მიეღო ძმის წერილი. პასუხიც გაემზადებინა. ორივე წერილი თვითონ წაგვაკითხა და ალექსანდრე გეხტავაშვილი კიდევ ერთხელ ვიგრძენით სამშობლოს მონატრებულ კაცად.

ანა გეხტავაშვილის ნებართვით ვაქვეყნებთ ორივე წერილს.

საყვარელო დაო ანა!

იმედი მაქვს, რომ უველანი კარგად ხართ. მუდამ ამას ვისურვებდი თქვენთვის.

საწყენია შენი აქ არ ჩამოსვლა. ჩვენ ისეთ ხანში ვართ შეულნი, სიკვდილი გველოდება უკვე. ამიტომ ყოვლად მიუღებელია სახიკეთო საქმის „მომავლისათვის გადადება“.

აი ჩაიარა მარტმა. ხომ იცი რა მწარეა იგი ჩემთვის. მარტის თხუთმეტი იყო, დედაჩემს რომ მივუბრუნდი ეზოში გამომშვიდობების შემდეგ — მინდოდა უელში ჩახუტება, საწყალმა ტკბილმა დედამ მწარეთ მითხრა უარი, მაინც ვაკოცე — მალე გნახავ-მეთქი. თითქოს მაგრძნობინა, ეჰ, რა ვიცოი? ამ წერილს ლოგინში ვწერ და იმ წუთების გახსენებამ ლამის ამატიროს, მინდა ბალიშში ჩავრგო თავი და გული ვიჯერო ქვითინით. ამ სიმორეზე ვარ მისი საფლავიდან. მანდ რომ ვიყო, ხომ ხშირად ვივლიდი და გავიქარვებდი გულის დარდებს. ვინც ძვირფასნი იყვნენ, თითქმის უველანი წავიდნენ. ამიტომ თუ აღარა ვარ მხიარული — სახლში ჰგონიათ დავბერდი და ხასიათი გამომეცვალა. ამა, რას ვეტყვი ან როგორ ვაჩვენებ ჩემს უჩუმარ გულის სიმწარეს?

თამარი ჩამოვიდა (თამარ დრაგაძე — რედ.), შვინდის მურაბა მომართვა. გოგო, ესეთი დიდი ქილა არ უნდა აგერჩია. თამარიც ობოლია ჩემსავით, დიდად ვაფასებ. ჯერ აქ ისწავლა, მერე მანდ ჩამოვიდა და მშვენივრად შეუსწავლია დედა-ენა. ძალიან კარგი გოგოა და როცა შეგეძლოს, ორიოდე დღით ჩაიყვანე ხოლმე შენთან. ბევრ ქართულ ადათს დაინახავს და ისწავლის. თვითონ მარტო ვერ ჩამოვა, შენ, ვაჟა ან ვინმე ახლობელი თუ ჩაიყვანთ გორში.

აღდგომა მოდის, აქ ორი აღდგომაა: ერთი დასავლეთის და მეორე მართლმადიდებელთა. მე არც ერთი მწამს და არც მეორე. მაინც პატივს ვცემ, რადგან ქრისტიანული რელიგიით ვარ გაზრდილი.

ჩემი ატმები, ვაშლები და იასამნები მშვენივრად ჰყვავიან. ერთობ მიხარებენ გულს... რატომღაც მახსენდება ბალღობა და წედისას მიდამოები. ჩვენი ახალგაზრდა დედ-მამა, ძმა გოგი, და შენ...

ეხლახან სიამოვნებით წავიკითხე შოთა ძიძიგურის წიგნი (ქართული ენა) ინგლისურად, კარგად და საინტერესოდ არის დაწერილი.

ნუგზარს რა უნდა, ქალი თუ ვაჟი? უთხარი, რომ არანაკლებ ოთხი შვილი უნდა მიართვას სამშობლოს. ხანში რომ შევალენ, მერე იამაყებენ, კაცმა ვიღაც უნდა დატოვოს სამშობლოსათვის.

დამიკოცნე უველანი. თვალწინ მყევხართ, მიყვარხართ, მიხარია თქვენი თავი. მოკითხვა თორასგან და შენი ძმისწულებისაგან.

შენი ძმა საშიკო.
აპრილი, ლონდონი.

ძვირფასო ძმაო!

როცა კარგად ხარ, მე მაშინაც მეტირება, ჩემო ძმაო. ის დრო მახსენდება, რამდენიმე გორელი ახალგაზრდა რომ წახვედით უცხო ქვეყნების სანახავად და მოსწყდით სამშობლოს. რა დღეში იყუნენ ხაცოდავი დედ-მამა, ან მე და გოგი რა გორ ვტიროდით...

ყოველთვის მიხარია შენთან ჩამოსვლა, ჩემს რძალთან და საყვარელ ძმისწულებთან ყოფნა. მაგრამ შენი ჩამოსვლა უფრო საჭიროა უველასთვის. მით უმეტეს, რომ დღითიდღე ხანში შევდივართ. ჩემთვის ინგლისში მხოლოდ თქვენა ხართ, მაშინ როცა საქართველო მთლიანად შენი სამშობლოა. თანაც უკვე მესამე წელიწადია არ ჩამოსულხარ. რა იქნება რომ გვეწვიო?

გორის სიკეთე და სიმდიდრე, ვიცი, გახარებს. მახსოვს როგორ გაგეხარდა სასათბურე მეურნეობის აგება. რევაზ ბზიშვილზე ამბობდი, რა ერთგული ხარისით იწევსო და მოგწონდა, რომ გორელები დიდები თუ პატარები ეგრე ერთგულობენ თავიანთ მშობლიურ კუთხეს. ჰოდა იცოდე, რომ ეხლაც ხასიამოვნო სიახლე შემოვიდა გორში — გაიხსნა სატროლეიბუსო ხაზი.

ჩვენც უველანი კარგად ვართ, შენმა ავადმყოფობამ კი შეგვაწუხა. ნუგზარი ამბობს — „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“-ო.

ვაჟა ეხლახან ეგვიპტეში იყო. ამბობს: უცხო ქვეყანა კარგი არა და საინტერესო კი არის ორიოდე კვირით, თუმცა მაშინაც სამშობლოზე ფიქრით იძინებ და იღვიძებო.

შენი და ანა.


მინაწერი.

გაგიკვირდება, როცა ჩვენს წერილებს გაზეთ „სამშობლოში“ იხილავ. საყვარელო ძმაო, თუ გორზე და გორელებზე უნდა დაწეროს გაზეთმა „სამშობლომ“, დაე ჩვენი სტრიქონებიც აუწყონ თავიანთ მკითხველებს — ჩვენც ხომ გორელები ვართ.

დედაენა

საზღვარგარეთელ თანამემამულეთათვის
შედგენილი ვალერიან რამიშვილის მიერ
იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით

გაკვეთილი 17




კამეჩი
კა-მე-ჩი
კ ა მ ე ჩ ი
ჩ

ჩა-ი. ჩი-რი. ფუ-ჩე-ჩი.

ჩირი რეზოსია. კამეჩი სოსოსია. მარტო ჩაი შოკრიფა. იგი შრომის გმირია.

ზაზა ჩაის სვამს. ეს ჩარხი ვისია?



გაკვეთილი 18




ბარი
ბა-რი
ბ ა რ ი
ბ

ბე-ბი-ა. ბა-გა. ბუ-ზი. ბა-თუ-მი.

ეს ჩირი ბებიაჩემისაა. ბუზი ბზუის. ჩემი მმა ბაგაშია. კობა ბათუმშია. ბებიამ ჩამიჩი გაახმო.

ფეფოს ეზოში რუა. ზებრა გარბის. მამაჩემი ფერმაში მუშაობს.



არ დაივიწყოთ, ისწავლეთ ვეფხვისტყაოსანი ჯარისკაცო!

„ჯადოსნური სიყვარული“



ამას წინათ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებაში ამანათი მოვიდა. ამანათი გამოგვიგზავნა ბელგიაში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ მუსიკისმცოდნემ ელენე წერეთელმა. გაეხსენით — შიგ ფირფიტა და ნოტები აღმოჩნდა, „დე ფალია — ჰავჰავაძე, „ჯადოსნური სიყვარული“, დაბეჭდილი იყო მოზრდილი ასოებით ფირფიტის ჩარჩოზე. გვეამა, როცა უცხოეთიდან მოსულ ფირფიტაზე საქვეყნოდ განთქმული ესპანელი კომპოზიტორის გვარის გვერდით ამოვიკითხეთ ჩვენი თანამემამულის, ცნობილი პიანისტის გიორგი ჰავჰავაძის გვარი, ჰავჰავაძეთა გვარი, რომელიც დიდმა ილიამ, ალექსანდრემ და სხვა ღირსეულმა მამულიშვილებმა ჭეშმარიტად საამაყო გვარად აქციეს.

სიამოვნებამ კიდევ უფრო დაგვითბო გული, როცა ფირფიტიდან მოვესმა გიორგი ჰავჰავაძის მიერ ფორტეპიანოს პარტიისათვის დამუშავებული მუსიკის საამო ჰანგები, ცნობილი ინგლისელი პიანისტი ქალის პიტა შრაგერის შესრულებით.

ორიოდე დღის შემდეგ მივიღეთ ქალბატონ ელენეს წერილიც, რომლითაც თანამემამულე გვატყობინებდა ზოგიერთ ცნობას გიორგი ჰავჰავაძისა და ქალბატონ პიტა შრაგერის შესახებ; წერილთან ერთად მათი ფოტოებიც გვიბოძა.

გადავწყვიტეთ ქალბატონ ელენესთვის კეთილი ნებით მოძღვნილი ამ ძვირფასი ნობათის სამაგიეროდ მადლობა გვეთქვა „სამშობლოს“ ფურცლებზე, რასაც დიდი სიამოვნებით ვასრულებთ. ამასთანავე გვინდა ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვაუწყოთ ცნობილი პიანისტის გიორგი ჰავჰავაძისა და მისი მოწაფის პიტა შრაგერის ზოგიერთი ბიოგრაფიული ამბავი.

საქვეყნოდ სახელგანთქმული პიანისტი გიორგი ჰავჰავაძე დაიბადა სანკტ-პეტერბურგში 1904 წელს. მუსიკალური ნიჭი ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა და მშობლებმა ლონდონში გაგზავნეს ლეშეტიცკის სკოლაში სასწავლებლად.

ათი წლისა იყო გიორგი, პირველი ღია კონცერტი რომ გამართა. თორმეტი წელი რომ შეუსრულდა, მთელი ოჯახი საცხოვრებლად ინგლისში გადასახლდა. იქ გიორგი მუშაობდა მეიბელ ლენდერთან — ლეშეტიცკის სკოლის დამაარსებელთან.

1927 წელს გიორგი ჰავჰავაძემ საკუთარი კონცერტი მოაწყო ვიგმორ ჰოლში. შემდგომში კი განუწყვეტლივ მართავდა საკუთარ კონცერტებს დიდ ბრიტანეთისა და ევროპის ყველა დედაქალაქში. სახელი და დიდება დღითიდღე ეზრდებოდა, მაგრამ ორი წლის განმავლობაში მან შეწყვიტა კონცერტებით გამოსვლა, ვინაიდან ამ ხნის მანძილზე ჰავჰავაძე მუშაობდა ეგონ პეტრისთან, ბუზონის ერთ-ერთ გამოჩენილ მოწაფესთან.

1941 წელს გიორგი ჰავჰავაძე გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში და სადებიუტო გამოსვლა მოაწყო ნიუ-იორკში. შემდეგ კონცერტებს მართავდა შეერთებული შტატების ყველა დიდ ქალაქში, 1946 წელს კი ევროპაში დაბრუნდა.

გიორგი ჰავჰავაძე ესპანელი კომპოზიტორის მანუელ დე ფალიას (1876-1946) ახლო მეგობარი იყო. მისი განსაკუთრებული ნებართვით გიორგი ჰავჰავაძემ დაწერა სუიტა ფორტეპიანოს პარტიისათვის ცნობილი ესპანელი კომპოზიტორის ბალეტის „ჯადოსნური სიყვარულის“ მიხედვით. — „როცა გიორგი ჰავჰავაძემ ეს სიმფონიური ნაწარმოებები გადაამუშავა ფორტეპიანოსათვის, — გვწერს ჩვენი თანამემამულე ელენე წერეთელი, — მანუელ დე ფალიამ მოუწონა. ამის დამადასტურებელი საბუთი ინახება თვით გამომცემელთან, ე. ი. ლონდონში „ჩეპტერთან“. გიორგი ჰავჰავაძის მიზანი იყო ფრანც ლისტის ტრადიციების გაგრძელება, კლავირზე ამგვარი მუსიკის გამოსახვის მისი პირველი ცდა კარგი გამოვიდა. სამწუხაროდ, 1962 წელს გიორგი ჰავჰავაძე მანჭანის ავარიის დროს დაიღუპა მეუღლითურთ.

ქალბატონი პიტა შრაგერი მისი ხსოვნის პატივსაცემად ხშირად იხსენებს გიორგი ჰავჰავაძის პედაგოგიურ ნიჭს...“

ახალგაზრდა პიანისტი ქალი პიტა შრაგერი დაიბადა ლონდონში სლავური წარმოშობის ოჯახში. სწავლობდა პარიზის კონსერვატორიაში. საბოლოო მუსიკალური ფორმირება კი ფორტეპიანოს ვირტუოზ გიორგი ჰავჰავაძესთან მიიღო.

სუიტა „ჯადოსნური სიყვარული“ მან პირველად შეასრულა ბრიუსელში. გიორგი ჰავჰავაძის შემდეგ პიტა შრაგერამდე ვერც ერთმა პიანისტმა ვერ გაბედა შეესრულებინა ეს ნაწარმოები. პიტა შრაგერმა კი, გიორგი ჰავჰავაძის უკანასკნელმა მოწაფემ, ეს ნაწარმოები თავის რეპერტუარში შეიტანა და ამჟამად ერთადერთი პიანისტია, რომელიც ასრულებს ამ ბრწყინვალე „მუსიკალურ ფრესკოს“, რომელიც მან სხვადასხვა ქვეყნის რადიოგადაცემებისათვის ჩაწერა.

ვფიქრობთ, ჩვენი თანამემამულის გიორგი ჰავჰავაძის მიერ დამუშავებული ეს მუსიკალური ნაწარმოები, ინგლისელი პიანისტის პიტა შრაგერის მსგავსად, ბევრი გამოჩენილი ქართველი პიანისტის რეპერტუარსაც დაამშვენებდა.

გულნარა აბაშმაძე



სურათებზე: პიტა შრაგერი (ზევით); გიორგი ჰავჰავაძე.

დაგეძებენ, მოგელიან

ნიკიფორე ივანეს ძე ღლონტს,

დაბადებულს 1911 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებში, ეძებენ მეუღლე — **ქეთევან,** შვილები — **ივანე** და **ავთანდილ ღლონტები,** მცხოვრებნი სოფელ ნატანებში.

ტიტე ვარლამის ძე ყუფარაძეს,

დაბადებულს 1921 წელს წულუკიძის რაიონის სოფელ დიდ კუხში, ეძებენ დედა — **ნადია,** და — **ქეთევან ყუფარაძეები,** მცხოვრებნი ქუთაისში, ევდოშვილის ქუჩა № 79.

ვალერიან გაბრიელის ძე ბურძგლას,

დაბადებულს 1922 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსა-ახალსოფელში, ეძებენ დედა — **გოგუცა,** დები — **თამარ, ჭუჭულა, ლიდა, როზა ბურძგლები,** მცხოვრებნი სოფელ სუფსა-ახალსოფელში.

გიორგი ბიძინას ძე ჯიოშვილს,

დაბადებულს 1915 წელს ბორჯომის რაიონის სოფელ ქვაბისხევში, ეძებენ დედა — **მარიამი,** მეუღლე — **ანა,** შვილები — **არსენ, მარგო ჯიოშვილები,** მცხოვრებნი სოფელ ქვაბისხევში.

ზაქარია (შაქრო) იასონის ძე თედიაშვილს,

დაბადებულს 1910 წელს საგარეჯოში, ეძებენ მეუღლე — **მარო,** შვილები — **ნუნუ, ნათელა, თენგიზ თედიაშვილები,** შვილიშვილები — **ქეთინო, ელიზა, ლია, ზურიკო, ზაქრო, გენადი,** მცხოვრებნი საგარეჯოში, ყაზბეგის ქუჩა № 4.

შალვა გრიგოლის ძე შავშიშვილს,

დაბადებულს 1918 წელს თბილისში, ეძებენ დედა — **თამარ,** მამა — **გრიგოლ შავშიშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, კავთისხევის ქუჩა № 2.

ძმებს შალვა და ჯაბა მიხეილის ძე კირტავებს,

დაბადებულთ 1917 და 1924 წელს მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიდველაში, ეძებენ მამა — **მიხეილი,** დედა — **ნადია,** და — **მარგო,** ძმები — **გუგული, გივი კირტავები,** მცხოვრებნი სოფელ დიდველაში.

ვლადიმერ ვასილის ძე მაჭავარიანს,

დაბადებულს 1911 წელს ხარაგოულის რაიონის სოფელ ბორში, ეძებენ დები — **ელენე, მარგალიტა,** ძმა — **შალვა მაჭავარიანები,** მცხოვრებნი თბილისში, ჰავჰავაძის გამზირი № 43.

რედაქტორი გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა №

ინდექსი 66488

ფასი 6 კ